ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი

წელიწადი — ყოველკვირეული გაზეთი — მეთერთმეტე

№ 26 — **კვირა, 27 ივლისი 1903 წ.** — **№ 26**

გაზეთის ფასი: ერთი წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ: ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საპიორის ქუჩაზე, № 35. **ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

შინაარსი: ინტელიგენცია, ლ. დ.-სა.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—ამბობენ თითქოს... ლექსი ლადო ახობაძისა.—ჭრელი სუფრა, ფარსი-კომედია ი. ევდოშვილისა.—№-ს, ლექსი დარია ხუნდაძისა.—ძიძა, მოთხრობა ნ. ნაკაშაძისა.—ბ-ნი პლებსი და ეროვნული კითხვა, ულტრა-კუპისტისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—განცხადებანი.

ინტელიგენცია.

ინტელიგენტობა, რა თქმა უნდა, მეტათ საპატიო ხარისხია, მით უფრო, რომ ჩვენში, მომეტებულ ნაწილათ სიტყვით, „ინტელიგენტი“ აღნიშნავენ საზოგადო მოღვაწეს, ინტელიგენციას უძახიან იმ პირთა კრებულს, რომელნიც საზოგადო მოღვაწეობისათვის არიან მოწოდებულნი. საპატიო ხარისხი კი მოგეხსენებათ—ადვილათ არ იშოვება. ინტელიგენტი რომ გახდეთ, უსათუოთ სწავლა განათლება უნდა მიიღოთ, მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ყველა ნასწავლი და „განათლებული“ საზოგადო მოღვაწე არ არის. თუ ერთნი მხოლოთ საზოგადო ინტერესებით არიან გამსჭვალულნი, გატაცებულნი და საზოგადო საქმეს შესტრფიან, როგორც თავის ცხოვრების უმთავრეს მიზანს, მეორენი არა ნაკლების გატაცებით მხოლოთ თავის პირადობას აღმერთებენ, საზოგადო მოღვაწეობას ან სულ არ ეტანებიან, ან და მარტო ბაირაღათ, პირ-ბადეთ ხმარობენ, რომ ამას იქით უფრო უკეთესათ და ხერხიანათ მოაწყონ თავიანთი პირადი საქმეები. ასეთი სხვა და სხვა გვარი ინტელიგენტები რომ ერთი მეორისაგან გაარჩიონ ამბობენ: აი ეს ჭეშმარიტი ინტელიგენტია და ის კი ცრუ ინტელიგენტია. დავანებოთ თავი იმას, თუ რამდენათ შესაფერი და სამართლიანია ინტელიგენციის ასეთ კატეგორიებათ დანაწილება, ის კი თავის თავათ ცხადია, რომ ერთი და იგივე ინტელიგენტი, ერთსა და იმავე დროს ორივე კატეგორიაში ამოყოფს თავს: ის ზოგის თვალში ჭეშმარიტი ინტელიგენტი იქნება, ზოგისაში ცრუ, იმის მიხედვით, თუ ვის როგორ ესმის საზოგადო მოღვაწეობა. ამ უკანასკნელზე ჩვენში მეტათ ახირებული წარმოდგენა აქვთ. საზოგადო მოღვაწეობას და მაგ., ქველ-მოქმედებას დომხალივით ურევენ ერთმანეთში. უფრო მეტი ხშირათ საზოგადო მოღვაწის სახელით ნათლავენ რომელსამე მოხელეს მხოლოთ იმიტომ რომ მას ბეჯითათ და გულ-დასმით შეუსრულებია თავისი თანამდებობა; ანუ კიდევ, თუ ბედმა გაგიღიმათ და ოქროს (თუნდ ვერცხლის) მედალით გული დაიშვენეთ, უსათუოთ მოღვაწეთა გუნდში ჩაგრიცხავენ და ერთ ადგილს თქვენც გაკუთნებენ „დიდებულ სახალხო ეპოპეიაში“. ასეთი კურიოზები ხშირია იქ, სადაც მოვლენათ საოჯახო თვალთახედვის წერტილით ზომავენ; ხოლო თუ საქმეს უფრო სერიოზულათ შეეხედეთ, დავრწმუნდებით, რომ ნამდვილი პროგრესიული საზოგადოებრივი მოღვაწეობა არის პიროვნების, თუ პიროვნებათა ჯგუფის (პარტიის) მხოლოთ ისეთი ცნობიერი, შეგნებული მოქმედება, რომელიც პირდაპირ და მასთან ნამდვილათ, რეალურათ (და არა წარმოდგენით) ეხმარება საზოგადოებას განვითარების ერთი საფეხურიდან მეორეზე ასვლას და მით აჩქარებს საზოგადოებრივ პროცესს (მსვლელობა-განვითარებას). პროგრესიული მოღვაწეობა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების განვითარებას, თვით ისტორიული ფაქტების მსვლელობას; ყოველ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოებას აქვს თავისი ისტორიული მიზანი, დანიშნულება, რომელიც აუცილებლათ უნდა განხორციელდეს. რადგან მთელი სოციალური მსვლელობა აქეთკენ არის ხოლმე მიმართული. ამ მიზნის შეგნება და ამ შეგნების თანხმათ ცნობიერი მოქმედება სოციალური ევოლიუციის ასაჩქარებლათ წარმოადგენს ჭეშმარიტ, პროგრესიულ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. დღევანდელ ცხოვრებაში საზოგადო მოღვაწეობაზე ისე ვერ დასძრავთ სიტყვას, რომ არ შეეხოთ საზოგადოების უმრავლესობას, ე. ი. მშრომელი ნაწილის ბედიღბალს. ეს არის ჩვენი დროის უმთავრესი საკითხი. ამ კითხვის გადაწყვეტა და ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გადატანა—აი რა დაუყენა წინ ისტორიამ დღევანდელ საზოგადო მოღვაწეს. ამ კითხვის მეცნიერული შესწავლა აუცილებელი ფარ-ხმალია საზოგადოებრივ ასპარეზზე მომქმედისათვის.

რომ ერთიანათ მთელი ინტელიგენცია ვერ მოკიდებს ხელს პროგრესიულ მოღვაწეობას, ეს არავისთვის არ უნდა შეადგენდეს საიდუმლოებას. საინტერესოა მხოლოთ ვიცოდეთ რათ არის ეს ასე, საინტერესოა ვიცოდეთ ინტელიგენციის მაშ რომელი ნაწილია მოწოდებული საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსასვლელათ. ცხადია, რომ ამ კითხვათა ახსნა უნდა მოვ-

ძებნოთ იმ სოციალურ პირობებში, რომელიც გარს არტყია ინტელიგენციას. (მკითხველი მიხვედრილი უნდა იყოს, რომ სიტყვას «ინტელიგენცია» ვიღებთ ფართო მნიშვნელობით; ვიგულისხმებთ ყველა გონებრივი შრომის წარმომადგენლთ).

ამ წერილში ჩვენ გვინდა გავუზიაროთ მკითხველებს ერთი გერმანელი მწერლის აზრი აღძრულ საკითხთა შესახებ.

—

ვინ არის ინტელიგენცია საზოგადოთ?

ადამიანის შრომის გონებრივსა და ფიზიკურ შრომათ განაწილება, რასაკვირველია, არ იქნება სამართლიანი, თუ საქმეს ფიზიოლოგიურათ შევხედავთ. ყოველი გონებრივი შრომა ფიზიკური შრომაა იმ აზრით, რომ ტვინი—აზროვნების ორგანო—სხეულის ნაწილია; ყოველი ფიზიკური შრომა ნაყოფია არა მარტო მუსკულების მუშაობისა, არამედ ნერვებისა და და ტვინისაც. ამასთანავე ბევრი ეგრეთ წოდებული ფიზიკური შრომა უფრო მეტს გონების მუშაობას თხოულობს, ვინემ ეგრეთ წოდებული გონებრივი შრომა. შრომის ასეთი განაწილება ისტორიული ხასიათისაა. ისტორიულმა განვითარებამ ერთი მოვლენა (ადამიანის შრომა) ორათ გაყო, ფიზიკური და გონებრივი შრომა ერთი მეორისაგან განაცალკევა და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს ჩააბარა. გონებრივი შრომა, როგორიც არის მაგ., საზოგადოების მართვა-გამგეობა, ჯარში სამსახური, სასულიერო თანამდებობის ასრულება და სხ. წილათ ხვდა ხაზოგადოების სათავეში მდგომს—გაბატონებულ კლასს, ხოლო ფიზიკური შრომა—საზოგადოების „დაბალ ღობეს"—მშრომელ ნაწილს. გონებრივი შრომა დღევანდლამდის საპატიო, არისტოკრატიულ შრომათ ითვლება, ხოლო ფიზიკური შრომა კი ყველას ათვალწუნებული აქვს, ის ყველას ეთაკილება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ერთი ხომ, ფიზიკური შრომა თავის თავათ უფრო სამძიმო ასასრულებელი იყო, ვინემ გონებრივი შრომა, და მეორეც, ფიზიკური შრომა, როგორც ყოველთვის დაბალი წოდების ხვედრი, მუდამ დაჩაგრულობის, დამონავების გამომხატველი იყო; გონებრივი შრომა კი სულ წინააღმდეგს აღნიშნავდა; მას ადამიანი უსათუოთ აყავდა სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზე და გაბატონებულ „ბრწყინვალე" წოდებას უერთებდა, რადგან გონებრივი შრომა ამ წოდების მონოპოლიას შეადგენდა. ასე იყო საქმე ძველათ, მაგრამ სულ სხვასა ვხედავთ დღეს.

ბურჟუაზიულმა ხანამ, რომელმაც ყველაფერი საანგარიშო ჩოთქზე გადაიტანა, არც გონებრი შრომა დატოვა ხელუხლებელი. მან ეს შრომაც სავაჭრო ნივთათ აქცია და ბაზარზე გაიტანა გასასყიდათ.

ბურჟუაზია—ეს დღევანდელი უპირატესი კლასი—მართალია, თითქის ერთთავათ ბაზარზე ტრიალებს, როგორც აღებ-მიცემობის ჩარხის ხელში მჭერი, მაგრამ ის თავის თავს (=თავის გონებრივ ძალ-ღონეს) როდი ყიდის, იგი ან სხვის საქონელს ყიდულობს, ან ყიდის თავისას, მაგრამ სხვის მიერ დამუშავებულს. რაკი ბურჟუაზია აღწევს განვითარების განსაზღვრულ წერტილს, მაშინ ყოველგვარი შრომა უკვე ეწინააღმდეგება მისს საზოგადოებრივ მდგომარეობას; და აი დღეს, ბურჟუაზია, განთავისუფლებული ფიზიკური შრომისაგან, განთავისუფლდა გონებრივი შრომისაგანაც. უკანასკნელი მან საზოგადოების განსაკუთრებულ ნაწილს მიანდო. ეს ნაწილი იმითი არსებობს, რომ თავის ცოდნას, გონებრივ ძალ-ღონეს, ყიდის; ეს ნაწილია დღევანდელი ინტელიგენცია. ამ ერთთავის ცვლილებასთან ერთათ იცვლება აგრეთვე ძველი შეხედულება გონებრივი და ფიზიკურ შრომაზე.

დღევანდელი ინტელიგენცია ვაჭრობა, აღებ-მიცემობასთან ერთათ იბადება ქვეყნათ. ხოლო მეცნიერებანი შენავათ ზრდის და აფართოვებს კაპიტალისტური წარმოება. როცა ხელოსნურ წარმოების ნაცვლათ გაჩაღდა სხვილი ინდუსტრია, ნაწარმოების დამუშავება ძლიერ გამარტივდა და იმავე დროს საოცრათ გართულდა კიდეც. მუშათა სხვა-დასხვა ჯგუფი წარმოების ერთ რომელსამე ნაწილს აკეთებს, რაც მეტათ უბრალოა და არავითარ განსაკუთრებულ ცოდნასა და ხერხს არა თხოულობს; ხოლო ცალკე ნაწილებისაგან რომ მთელი საგანი, მთელი ნივთი შედგეს, ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა სპეციალური ცოდნა. ამიტომ სხვილი ინდუსტრიისათვის საჭირო არიან ინჟინერები, ტეხნიკოსები, მექანიკოსები, ქიმიკოსები და სხვ. და სხვ. საჭირო არიან აგრეთვე წარმოების გამგენი, ხელმძღვანელნი. კაპიტალისტურმა წარმოებამ ქალაქები ააღორძინა და განავითარა. გაფანტულ და შედარებით დამოუკიდებელ პროვინციებიდან ერთი სახელმწიფო შექმნა; პატარა და სუსტი სახელმწიფოებიდან დიდი და ძლიერი სახელმწიფო. აქედან გართულდა ქვეყნის მართვა-გამგეობა, გადიდდა ადმინისტრაცია; საჭირო შეიქმნენ ნასწავლი მოხელენი—ძლიერდებაბიუროკრატია. აღებ-მიცემობა აღარ ეტევა ნაციონალურ საზღვრებში და უცხოეთისაკენ მიისწრაფის. ვაჭრობას საერთაშორისო ხასიათი ეძლევა. იბადება საერთაშორისო პოლიტიკა. საქონლის ტრიალის გაძლიერება ართულებს საქონლის მწარმოებელთა და მეპატრონეთა ურთიერთობას და ხშირათ საჭიროთ ხდის საქმის სასამართლოს წესით გარჩევას, ძლიერდება ვექილებისა და საზოგადოთ მოსამართლეთა გამრავლების საჭიროება. არსებობისათვის ბრძოლა მწვავდება, ყველა მოუსვენრობაშია, დაუცხრომლათ მოძრაობს, დრო ფულია. გაიძახიან და ეშურებიან ერთი წუთიც არ დაკარგონ მუქთათ; ხალხი თავისუფალ დროს კარგავს, ამიტომ თანდათან ქრება სახალხო პოეზია, სახალხო ხელოვნება და მის ნაცვლათ ჩნდება თეატრები, კონცერტები, საჭირო ხდებიან არტისტები. მცირე ტერიტორიაზე აუარებელ მცხოვრებთა შეჯგუფება, დახშულ ჰაერში უზომო მუშაობა ბადებს ათასგვარ ავათმყოფობას, გადამდებ სნეულებას. ექიმებს უხვათ ეძლევათ სამუშაო. ამდენ გონებრივ მუშაკთა აღსაზრდელათ საჭიროა სასწავლებლები, მაშასადამე პედაგოგებიც. საზოგადოთ კი ასეთი რთული ცხოვრება, როგორსაც წარმოგვიდგენს ბურჟუაზიული ხანა, შესანიშნავათ აძლიერებს ბეჭდვითი სიტყვის ძალასა და მნიშვნელობას—მწერლებს, ჟურნალისტებს აუარებელი სამკალი უჩნდებათ.

ამ გვარათ, კაპიტალისტურმა წარმოებამ საოცრათ გაფართოვა და გაამრავალგვარა გონებრივ მუშაკთა სამოქმედო ასპარეზი. საზოგადოება დღითი-დღე უფრო მეტსა და მეტს ინტელიგენტურ შრომას თხოულობს, მაგრამ თვით ინტელიგენციის რიცხვი გაცილებით უფრო სწრაფათ იზრდება, ვინემ საზოგადოების ხსენებული მოთხოვნილება.

ძლიერ იშვიათია, რომ ინტელიგენტმა საკმაო თანხა შეაგროვოს და კაპიტალისტთა წრეში გადასვლა მოახერხოს; ამიტომ მამა-ინტელიგენტი მუდამ იმის ზრუნვა-მეცადინეობაშია, რომ შვილებს შესაფერი სწავლა-განათლება მისცეს, ამით თავის დროზე სამსახურის შოვნა შეაძლებინოს და სრულ გაპროლეტარებისაგან დაიფაროს. გარდა ამისა, რაკი წვრილი კაპიტალი ველარ უძღებს სხვილი კაპიტალის მეტოქეობას, წვრილ ბურჟუაზიას ის-ღა რჩება ნუგეშათ, რომ თავისი შვილები სხვადასხვა სამსახურში და ეგრეთწოდებულ თავისუფალ პროფესიებში დააბინაოს. ამით აიხსნება, რომ შესამჩნევი ნაწილი ინტელიგენციისა წვრილი ბურჟუაზიიდან არის გამოსული.

დასასრული, თითო-ოროლანი ინტელიგენციას მუშა-ხალხიდანაც ემატება. ერთის სიტყვით, თითქმის ყველა მხრიდან აწყდება ინტელიგენციას ბედის მაძიებელნი, რომელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ეს გარემოება ახდენს იმას, რომ ერთსა და იმავე ადგილს ამა თუ იმ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში მრავალი კანდიდატი უჩნდება, რაც ძლიერ აიაფებს ინტელიგენტურ შრომას. აქედან ვითარდება ინტელიგენტებ შორის სიღარიბე და უკმაყოფილება თავისი მდგომარეობით.

როგორც ხედავთ, ინტელიგენცია არის კრებული იმ პირთა, რომელნიც თავისი გონებრივი ძალ-ღონის გაყიდვით არსებობენ და რომელთა შორისაც, რაც დრო მიდის, იმდენათ უფრო მატულობს სიღარიბე და უკმაყოფილება თავისი მდგომარეობით. მაშასადამეო—შეიძლება წამოიძახოს მკითხველმა—ინტელიგენცია იგივე ყოფილა, რაც პროლეტარიატია. მხოლოთ სხვა სახელით და რაკი ინტელიგენცია შეიგნებს თავისს კლასიურ ინტერესებს, იგი თავის უკეთესს მისწრაფებათ მუშათა საერთო საქმეს დაუმორჩილებს და ცნობიერ პროლეტარიატთან ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებული წავა საისტორიო გზაზედო. შეიძლება ასე იფიქროს მკითხველმა, მაგრამ ნამდვილათ კი ეს ასე არ არის.

უკმაყოფილების გრძნობა არ არის ერთი რომელიმე კლასის ნიშნობლივი თვისება. ვინ არ არის დღეს უკმაყოფილო? დიდი და პატარა ყველა ბედს ემდურება. უკმაყოფილოა პროლეტარი, უკმაყოფილოა ბურჟუაც, მაგრამ ამ გრძნობას სხვადასხვა კლასში სულ სხვადასხვა მიზეზები იწვევენ. სხვადასხვაა აგრეთვე საშუალებანიც, რომლითაც თვითეული კლასი ილტვის ამ ტკივილების თავიდან აცილებას. რაც შეეხება იმას, რომ ინტელიგენციაც პროლეტარიატივით სამუშაო ძალ-ღონის გაყიდვით ირჩენს თავს, არც ეს გარემოება გვეუბნება რასმეს თავისდა-თავათ. განა სამუშაო ძალ-ღონის გაყიდვა მხოლოთ ჩვენმა საუკუნემ მოავლინა? განა წინანდელი დრო კი არ იცნობდა დაქირავებულ შრომას? დიახ, იცნობდა, მაგრამ ის სრულიად არ იცნობდა იმას, რაც დღევანდელმა დაქირავებულმა შრომამ წამოაყენა. მან არ იცოდა რას ქვიან „სოციალური კითხვა“. ეს ჩვენი დროის ღვიძლიშვილია, ეს კაპიტალისტურმა წყობილებამ წარმოშობა... მაშ, არის თუ არა შემაერთებელი ხიდი პროლეტარიატსა და ინტელიგენციას შორის? გავსინჯოთ უკანასკნელი უფრო დაახლოვებით.

— — პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტელიგენცია სრულებითაც არ წარმოადგენს საზოგადო კლასს. მას არ მოეპოვება საერთო, კლასიური ინტერესები. ინტელიგენცია საშუალო საუკუნოების ხელოსანთა ამქრებს უფრო წაგავს, ვინემ დღევანდელ პროლეტარიატს. მას მხოლოთ პროფესიონალური ინტერესები აქვს და არა საერთო, კლასიური. ავიღოთ მაგ. ექიმები და ვექილები, ანუ ინჟენერები და მხატვრები (ხუდოჟნიკები). რა აქვთ ამათ საერთო? აშკარაა, არც გონებრივი და არც ნივთიერი ინტერესები მათ არ აერთებს, არ აკავშირებს. ყოველ დღიური, პროფესიონალური მუშაობა მათ არ უჩენს არავითარ საერთო საქმეს. ასე განცალკევებული მარტო სხვადასხვა პროფესიები როდი არიან. თვით ერთი და იმავე პროფესიის წევრნი დაშორებული არიან ერთი მეორეზე და თუ მტრულათ თუ არა, არც ძმურათ ეკიდებიან ერთმანეთს. აი, მაგ. რომელიმე სახელ-განთქმული, დიდი ქალაქის მკურნალი და მივარდნილ სოფლის ექიმი; ანუ უკვე გამოჩენილი, დიდება მოხვეჭილი ვექილი და რომელიმე პროვინციის უბრალო ვექილი; ანუ გაზეთის უმთავრესი პირი, ბობოლა-რედაქტორი და საბრალო, პაწია მეგაზეთე—რეპორტიორი, რომელიც ერთთავათ ეაფაციცებული იყურება აქეთ-იქით, ეგება რამე ახალ ამბავს მოვკრა ყური და რედაქციის ოთახიდან გროში გავაგდებინოვო. განა ეს ხალხი ერთმანეთისათვის უცხონი არ არიან? განა იმათ საერთო [illegible] აქვთ? განა ერთის ჯამაგირის გადიდებით, შრომის [illegible] მომატებით მეორეს მოეთბუნება? პასუხი თავისთავათ ცხადია. (მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენ ვიღებთ ინტელიგენტს, როგორც ამა თუ იმ პროფესიის, ანუ მოხელეობის წარმომადგენელს და არა როგორც ადამიანის პიროვნებას კერძოთ).

ინტელიგენცია—ეს თავისებური კიბეა, რომელზედაც რამდენი მაღლა მიდიხართ, იმდენი მატულობს ნივთიერი კეთილდღეობა, შედარებითი კმაყოფილება და რამდენათაც ძირს ჩამოდიხართ, იმდენათ იზრდება სიღარიბე, უკმაყოფილება. თვითეული ინტელიგენტის დაუშრეტელი წყურვილი, საპირ-ბოროტო კითხვა ის არის, რომ როგორმე ზევითა საფეხურზე ასკუპდეს. ამისათვის ის ხშირათ არავითარ საშუალებას არ ერიდება. იქნება საზოგადოების არც ერთ ნაწილში არ იყოს ისე გავრცელებული და ფესვებ გადგმული შური, მტრობა, ცილის წამება, გაიძვერობა, ლაქუცობა, მელიაობა, ამპარტავნება, მედიდურება, როგორც არის ეს ინტელიგენტებ შორის.

მეტათ საყურადღებოა ისიც, რომ საერთოთ ინტელიგენცია ძლიერ მაღალი წარმოდგენისაა თავის ინტელიგენტობაზე. მართლაც და, ჯერ ისევ, ინტელიგენტური შრომა უფრო ფაქიზი და არისტოკრატიული შრომაა, ვინემ სხვა რომელიმე; და რომ ამ შრომამ ასეთი უპირატესი ხასიათი არ დაკარგოს და არ დაფოლდეს, ინტელიგენცია ყოველ ღონესა ხმარობს, რაც შეიძლება წინააღუდგეს თავისი ამხანაგთა გამრავლებას. აქედან წარმოდგება ქალთა განათლების და სამსახურში მიღების წინააღმდეგ გალაშქრება. აქვე უძევს სათავე სხვა ეროვნების ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ყველა ასეთ მისწრაფება-ლტოლვილებას ცნობიერი პროლეტარი მთელი თვისი არსებით ეწინააღმდეგება.

ზემო ნათქვამიდან მკითხველი ხედავს, რომ ინტელიგენციასა და პროლეტარიატ შორის თვალსაჩინო განსხვავება ყოფილა. მაგრამ ინტელიგენცია ხომ ერთფეროვანი და ერთგვაროვანი მასსა არ არის. როგორც უკვე მოვიხსენიეთ ინტელიგენტებ შორისაც საკმაოთ განვითარებულია ქონებრივი უთანხმოება. ამ მხრით ინტელიგენცია შეგვიძლიან ორ ნაწილათ გავყოთ. ერთია პროლეტარი, მეორე არისტოკრატული ნაწილი. თუ გვინდა, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ინტელიგენციაზე, უნდა მისი შემადგენელი ნაწილებიც გავიცნოთ.

ლ. დ.

(დასასრული იქნება)

შინაური მიმოხილვა.

არა ერთხელ გაეგონებათ ჩვენ მკითხველებს, რომ არსებობს ეგრეთ წოდებული პროფესიონალური ეთიკა. ყველაზე ხშირათ ამ სიტყვას რასაკვირველია თავისუფალი პროფესიების შესახებ ხმარობენ, როგორიც არის მაგ. ვექილები და ექიმები. როგორც ვიცით, ბევრი რამ საინტერესოა ამ ეთიკის წესებში ისეთი, რომელნიც გამსჭვალულნი არიან მოძმეთადმი სიყვარულით და ამას მოითხოვენ კორპორაციის წევრებისაგანაც. მაგრამ უფრო სამარლთლიანი იქნება ჩვენ დროში ეს წესები ანახრონიზმათ ჩაითვალოს, რადგან მათ პრაქტიკულ ცხოვრებაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და თუ კიდევ ლაპარაკობენ მაზე თავისუფალი პროფესიის პირებ-

ამას მხოლოთ სიტყვის დასაშვენებლათ. დიახ, ეთიკა დღეს განყენებული რამ არის უბრალო დეკორუმი. ყველა თავისუფალი და არა თავისუფალი პროფესიების ნამდვილი ეთიკა ერთი ფრაზით გამოიხატება: „რაც შეიძლება მეტი აიღე, მეტი წაგლიჯე გაჭირვებულსო“. აი, ამ წესს ადგიან მტკიცეთ ჩვენი ექილებიც და ექიმებიც, რომელთაგანაც არა ერთხელ გაიგონებთ—თავისუფალი პროფესიის პირები თვით თავის ხელობით საზოგადო მოღვაწეები არიანო.

თუ რა ჯურის მოღვაწეები არიან ნამდვილათ, ამის შესახებ წინეთაც გვქონია ლაპარაკი და არც ახლა გაგვიჭირდება მაგალითების მოძებნა. აი თუნდ ექიმი ხეჩინოვი (ქუთაისში). ისიც ხომ თავისუფალი პროფესიის კაცია, თავისუფალი პრაქტიკით ცხოვრობს და მეტათ თავისუფლათაც ეპყრობა თავის პაციენტებს. როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვწერს (იხ. კორესპონდენცია საჩხერიდან), მას მიუხედავათ მეტათ რიგიანი პრაქტიკისა, მიუხედავათ იმისა, რომ მუდამ მრავალი ავათმყოფი ყავს, ერთი პაწია ოთახიც კი არ მიუჩენია მათ მისაღებათ და მით იძულებული გაუხდია ავათმყოფები ან პოდიეზდში (შესასვლელში), ეყაროონ სანამ მიღების ღირსი გახდებოდენ, ან და პირდაპირ ქუჩაზე. სურათის დასაგვირგვინებლათ, კარგია გულ-გაღეღილი, თეთრეულ გამოჩენილი შვეიცარიც არ დაივიწყოთ, რომელიც ხან ერთ ავათმყოფს გადაალაჯებს და ხან მეორეს და... კიდევ იმათ უწყრება, რათ მებორგებით ფეხებშიო. თუ მართლა ისეთი პრაქტიკა აქვს ბ. ხეჩინოვს, როგორც კორესპონდენტი იწერება, მაშინ იმისი თქმა, რომ მეტი ოთახის დაჭერა ვერ მოუხერხებიაო, სანამდვილეს არ შეეთანხმება, მით უმეტეს, რომ ბ. ჩეხინოვი მანათიანზე ნაკლებ ავათმყოფს არ ღებულობს, როგორც კარებზედვე აქვს თურმე მიკრული. მაშ სხვა ახსნა უნდა ვეძიოთ ამ „მოღვაწის“ მოქმედების ასახსნელათ. და ჩვენ გვგონია აქ ის ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობს. პირველი. შეძლებული კაცი, რომელთანაც საჭიროა ცერემონიები, თვითონ მოიწვევს ოჯახში ექიმს, ხოლო რომელნიც ექიმს ბინაზე აწუხებენ, ისინი შედარებით ღარიბი ხალხია და მათთვის მისაღები ოთახი რა საჭიროა, კიბეზე და ქუჩაზეც კარგათ მოეწყობიან. მეორე კი უნდა იყოს რეკლამის სურვილი. მართლაც, თუ ექიმი ხეჩინოვის ბინა ხალხიან ქუჩაზეა, ვინ იცის, რამდენი კაცის ყურადღებას მიიქცევს ქუჩაზე და კიბეზე (თუ კარებიც ღიაა) თავმოყრილი ავათმყოფები და ამ ცოცხალ რეკლამაზე უკეთეს რეკლამას ვინ გამოიგონებს!..

***

არ ვიცით, აქვთ თუ არა მისაღები ოთახები კლიენტებისათვის ჩვენ ექილებს, მაგრამ შუბლის კანი, რომ მათაც ძლიერ გასქელებული აქვთ, ეს უეჭველია. ექილების პრაქტიკაში, სხვათა შორის, ყურადღება უნდა მიექცეს ჰონორარის რაოდენობას, ნამეტურ როცა დაშავებულ და დაავადებულ ხალხს შეეხება საქმე. მიუქცევია კიდეც ამ საქმისთვის ყურადღება ჩვენ სასამართლოებს და ცირკულიარულათ გამოუცხადებია, ათ პროცენტზე მეტი მაინც არავინ აიღოს ამისთანა საქმეებშიო, მაგრამ მიუხედავათ ასეთი განკარგულებისა, რომელიც უმოქმედო ეთიკის მუხლებზე უფრო სავალდებულოა, ორი ასეთი მაგალითი გადმოგვცეს. ერთ ექილს უნდა ეწარმოებია დაშავებული მუშის საქმე. საჩივრის რაოდენობა გამოიხატებოდა ციფრით 1400 მანათი. გასამრჯელოს შესახებ წერილობითი პირობა შეუდგენიათ, რომელშიაც ასე არის განსაზღვრული ჯილდო: თუ სრულათ მოვიგე ექილმა საქმე, მაშინ 400 მან. უნდა ავიღო და ისიც ჩემია რასაც საქმის საწარმოებელ ხარჯებს მოგვისჯიან, თუ ათასზე მეტი არ [illegible]ისაჯეს, მაშინ 25% და თუ არა უმეტეს რვაასისა, მაშინ 30 პროცენტიო ამის დამწერი ნაფიცი ექილია. ბოლოს საქმე დაუსრულებია, მოუგია დაშავებულისთვის 1200 მანათი და მისთვის მიუცია... ხუთასი მანათი [illegible] თავის გასამრჯელოთ აუღია. ესეც ნაფიცი ექილია [illegible] ამისთანა შემთხვევების შემდეგ კიდევ, უკვირთ, რატომ მეტი ნდობით არ გვეპყრობა საზოგადოება, როგორ ხდება, რომ ბალკონის ადვოკატურა გვიწევს კონკურენციას და მით ჩვენც გვაკლდება და თვით კლიენტებიც ზარალობენო.

***

არც ზოგიერთი სხვა წრის პირები ჩამოუვარდებიან თავისუფალ პროფესიებს. ჩამოუვარდებიან კი არა, მგონი, ბევრითაც უსწრებენ. მოგეხსენებათ, ხშირათ, ეკლესიების ასაგებათ და გასამშვენებლათ მიმართავენ ყულაბით ან წიგნებით ფულის შეკრებას და ამისთანა შემოწირულების ამკრებნი ხშირათ ძლიერ შორს მიდიან, როგორც მანძილით, ისე ამ შეკრებილი ფულების გახმარაშიაც. აი ერთი მაგალითი ჩვენი ცხოვრებიდან 1902 წელს მამა—სახელს ვერ ვიტყვით და ვუწოდებთ თუნდ იონემ ერთის ეკლესიის ამშენებელ კომიტეტში შეიტანა განცხადება, მე გამაგზავნეთ რუსეთში შემოწირულების შესაკრებათ და ბლომათ ჩამოგიტანთ ფულსო. დაეთანხმენ; მისცეს საჭირო წიგნი, შემოწმებული, და თან ყოველი იჭვის ასაცილებლათ დაუნიშნეს თანამგზავრათ კომიტეტის ერთ ერთი წევრი. მამა იონემ ეს წევრი არ წაიყვანა, როგორც კომიტეტი ფიქრობს, მეტი ხარჯის ასაცილებლათ. მამა იონე წავიდა მოსკოვს. კომიტეტს მის შესახებ ექვსი თვის განმავლობაში არაფერი ცნობა ჰქონია. ბოლოს როგორც იყო მიიღო მისგან ორასი მანათი. და წერილი, რომლითაც ატყობინებდა სხვათა შორის, რომ ვიღაც ბოროტმა შემოწირულებათა ჩასაწერი წიგნი ხელიდან გამაგდებინა და დამესვარა და იძულებული შევიქენი ახალში გადმეწერაო. კარგა ხნის შემდეგ მამა იონე დაბრუნდა. მოთხოვეს ანგარიში, მაგრამ მან განაცხადა—არ ვიცი როდის მექნება დრო ანგარიშის შედგენისათვისო. ისე კი გამოუცხადა, რომ ფული ვერაფერი შევკრიბე, იმედი მაქვს აწი მივიღებთო. ბოლოს, რის ვაი ვაგლახით თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ ახალი წიგნით (ძველი არც დასვრილი წარმოუდგენია!) შეკრებილი ყოფილა 1923 მან. 45 კაპ., საიდანაც კომიტეტში გადაცემულათ წერია 300 მანათი, 1623 მან. 45 კაპ. კი გზაში დახარჯვია შემოწირულების შემკრებს. მაგრამ, თუ მივიღებთ ანგარიშში, რომ ადგილიდან იონემ წაიღო 120 მან. ხოლო გამოუგზავნია სულ 200 მან. ნამდვილ რუსეთში შეკრებილი კი არა, შეკრებილათ ჩაწერილი თანხიდან (1923 მან. 45 კაპ.,) კომიტეტს მიულია ნაღდათ სულ 80 მანათი!.. ამ ფაქტს ჩვენი აზრით არავითარი განმარტება არ ესაჭიროება. აშკარაა, რომ „თავისუფალი“ მოქმედების საუკეთესო მაგალითი გვაქვს ხელთ...

სხვა-და-სხვა ამბები

19 ივლისს, დილის მატარებლით თფილისიდან სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგს წავიდა კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე.

როგორც საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, წელს უნივერსიტეტში არ მიიღებენ რეალურ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ.

კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ მიღებულ იქნეს ზომები ლიანდაგის დასაცველათ. სამგზავრო მატარებლის გავლის წინ გზა უნდა ბულმოდგი-

ნეთ დაათვალიერონ და საზოგადოთ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ მატარებლები ხიფათს ააცილონ. უფროსი აგენტები თვალ-ყურს უნდა ადევნებდენ მდაბალ მოსამსახურეთა მოქმედებას, რომ ისინი რიგიანათ ასრულებდენ თავის მოვალეობას.

ბალახანში გამოკრულია ბალახან-საბუნჩის პოლიცმეისტრის განცხადება შემდეგი შინაარსისა: „ამით ვაცხადებ, რომ გარდა სამხედრო პირთა და პოლიციელთა, არავის არა აქვს უფლება ცხენით სიარულისა იმ პრომისლების რაიონში, რომელიც ბალახან-საბუნჩის პოლიცმეისტერს ექვემდებარება, თუ ამისთვის განსაკუთრებული ნება-რთვა არ აიღო. ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, ის დაუყოვნებლივ დაჭერილ იქნება პოლიციის ნაწილში წასადგენათ.

ბალახანაში გამოკრულია გუბერნატორის განცხადება, რომ საღამოს 9 საათიდან ქუჩებში არავინ არ გამოვიდეს.

---

18 ივლისს 400 მუშამ ძმ. ნობელის ქარხანებში ბალახანაში ანგარიშის გასწორება მოსთხოვეს ქარხნის ადმინისტრაციას, რადგან, განაცხადეს მათ, სამშობლოში წასასვლელათ ვემზადებითო.

ბათუმიდან დეპეშით გვატყობინებენ: „22 ივლისს, საღამოთი, ართვინის გზაზე, სოფ. ბორჩხიდან ხუთის ვერსის მანძილზე, გაძარცვეს ბათუმიდან მიმავალი ფოსტა. წაიღეს 16,000 მანეთი. ფოსტას მისდევდა ფოსტალიონი, ორი ჩაფარი და მეოთხეც მეეტლე იყო. მეორე ჩაფარი დასჭრეს“.

---

22 ივლისიდან თოფიანი ჯარის-კაცები ტრამვაის ვაგონებზე აღარ არიან. უსახელო საზოგიდოებას ვაგონებისთვის სულ 150 ჯარის-კაცი ყავდა, რომელთაც სასყიდელს აძლევდა. როგორც ამბობენ, ერთის კვირის განმავლობაში უსახელო საზოგადოებამ 15,000 მანეთი იზარალა.

გაზეთ „კურიერს“ ბათუმიდან დეპეშით ატყობინებენ: „17 ივლისი. იმ ქარხნებში, სადაც ყუთებს ამზადებენ, უთანხმოება მოუვიდათ მუშებს და ქარხნის პატრონებს, ამიტომ შეჩერებულია მუშაობა და ყუთებით გემების დატვირთვა. მუშაობის შეჩერების გამო დიდი გაჭირვებაა. ნავთსადგური გემებით გაივსო“.

გაზეთ „ჩერნ. ვესტ.“, როგორც თვითონ აცხადებს, 18 და 19 ივლისს არ გამოსულა „რედაქციისა და სტამბისა განდამოუკიდებელ მიზეზის გამო“.

პაპი ლეონ XIII-ს მოადგილეთ არჩეულ იქნა ვენეციელი კარდინალი სარტო პიუს X სახელით. ახალი პაპის ვინაობის შესახებ გაზეთები თითქმის არავითარ ცნობებს არ იძლევიან (რადგან ასეთი ცნობები არ მოეპოებათ), მოგვითხრობენ მხოლოთ სხვადასხვა უმნიშვნელო წვრილმანებს. დაიბადა ახალი პაპი 1835 წელს, ასე რომ ის ახლა 68 წლისაა.

„ჩერნ. ვესტ.“ სწერს: „20 ივლისიდან ამ დღეებში ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა რამდენჯერმე შემოიარა ქალაქი და დაათვალიერა უბნები“.

---

18 ივლისს ქუთაისის ოლქის ბრალმდებელი ბ-ნი ბელიავსკი ქუთაისიდან ბათუმს ჩავიდა.

„ჩერნ. ვესტ.“ სწერს: „პოლიციამ შეიპყრო შორაპნის მაზრის სოფელ საზანოს მცხოვრები ისიდორე ოქროპირის ძე ჩუბინიძე, რომელიც 17 ივლისს, საღამოს 11 საათზე ამხანაგთან ერთათ სცდილობდა რკინის გზაზე ... მოხდენას; ამისთვის რელსებზე მორგვი დაეგდოთ“.

ჭიათურაში, როგორც „ცნ. ფ.“ ატყობინებენ, ეს ერთი კვირაა მუშაობა შეჩერებულია.

„ჩერნ. ვესტ.“ სწერს: „23 ივლისს, დილით, ბათუმის ნავთის ქარხნებში მუშაობა ხელახლა დაიწყეს“.

ქ. ოდესიდან, იტყობინებიან, რომ იქ 18 ივლისს ოფიციალურათ გამოცხადებული იყო ქალაქის უფროსის შემდეგი დადგენილება:

რადგან ქალაქის ქუჩებში არეულობა მოხდა, რომელსაც შედეგათ მოყვა ხალხის ყრილობა და ძალმომრეობა, ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ ვალდებული ვიქნები, თუ ხალხი პოლიციის ან ადმინისტრაციის მოთხოვნილებას არ დაემორჩილა, კანონის ძალით იარაღს მივმართო წესიერების აღსადგენათ.

18 ივლისს ოდესის გაზეთები არ გამოსულა. ძლიერ გაძვირდა ქალაქში სანოვაგე და განსაკუთრებით პური.

საბუნჩაში, პოლიცმეისტერს შემდეგი განცხადება გაუკრავს: „რადგან ბალახანა-საბუნჩაში ვიღაც ბოროტ-მოქმედნი ძალ-მომრეობას სჩადიან, ამიტომ ვაცხადებ, რომ სამხედრო დარაჯნი შეიპყრობენ და პოლიციაში გაგზავნიან ყველას, ვინც საღამოს 9 საათს შემდეგ ქუჩაში გაივლის ან ქვეითათ ან ეტლით. ყველა იმათ, ვისაც 9 საათს შემდეგ საქმე აქვთ, მაგალითათ, ფირმების გამგეებმა და სხვამ პოლიციისაგან მოწმობები უნდა აიღონ“.

ქუთაისის გუბერნატორი გენერალი სმაგინი 20 ივლისს ჭიათურიდან ქუთაისს წავიდა.

უმაღლესის ბრძანებით, ქ. ოდესის პოლიციას გასაძლიერებლათ უნდა მიემატოს სარეზერვო რაზმი, რომელიც 25 პოლიციელთაგან შესდგება.

რუსეთის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ ქ. ოდესაში ცხენის რკინის გზაზე მოძრაობა შეჩერებულია მეეტლეებისა და კონდუქტორების გაფიცვის გამო, რომელნიც სამსახურის პირობების შეცვლას თხოულობენ.

ᲞᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲥᲘᲖᲘᲧᲘ. დიდი ხნის უმოსავლობით შეწუხებული ქიზიყი წელს შუათანა მინდვრის მოსავლმა ხურის, ქერის და ფეტვისამ ტოტალი წელში გამართა, მაგრამ წარსული უკეთესართი წლებით დავალიანებულ ხალხს მაინც გულში განუმტკიცებელი სევდა უკვნესის, რომ ვადი თავისას თხოულობს, ათასგვარი კადასახადი და ცხოვრების მრავალგვარი მოთხოვნილება, რასაც აკმაყოფილებენ ამ იმათი ნაშრომი ჭირნახულით, და თვითონ მშიერები რჩებიან. ეს ჭირნახული კადის მექთათ იმათ ხელში, ვინც ოფველ გაჭირვებულ დროს სოფლებს თავს ევლება, ვითომც კულ-შემატკივარი ჭირისუფალი, რომ ამ თავისი სარგებლით ხალხში ნდობა მოიპოვოს და ისე გაძარცოს ტყავი, რომ ვერავინ მიუხვდეს. აქ დაიარება ორი კაცი, ჭირნახულის მეიდვეული, თავიანთ დალალებით, რომელთათვის ეო-

ვედ წელს ქიზიყის კალოებზეთ იმართება როგელი. სხვათა შორის წელს უფრო ოსტატურათ დაიწყეს ბარბაში: როდესაც შეატეობენ, რომ გამეიდველს ძლიერ უწერს ფული, ჯერ ეურს არ ითხოვებენ, ვითომ ვერ გაიგონეს მისი თხოვნა, შემდეგ კი დაუწყებენ თვალის ბმას: ვითომც ძლიერ დაცა ჭირნახულის ფასი და ამიტომ არამც თუ იმის სულალს იეიდიან, არამედ ხირიქით თავს ანებებენ ვაჭრობას, რადგან მეტათ ზარალობენ აწინდელ ფასებში... და ამ ხრიკით არა ერთი და ორი გაპირვებული ვარდება იმათ უსინდისო კალენჭებში.

წლევანდელისთანა გულუხვ მოსავალს ვენახებისას და სალს ეურძენს, მოხუცებულებიც ამბობენ, არ მოგსწრებიეართო! მაგრამ, ამ იეფლისის ხირველში, სალამოს შეხუთე საათზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წამოვიდა მოწითანო დრუბელი, ამოვარდა ქარიშხალი და მოვიდა, მძლავრი და მსხვილი სეტყვა, რომელმაც გასტანა ოცდა ხუთ წუთამდე და გაანადგურა ვენახები, ხეხილი და რაც თამბაქოს ბალანტაციები მოეკა შემდეგი სოფლებისა: ბოდბისხევისა, ასანურის, სოქობოსი, ბაშნაარისა, და თვით სიღნაღიც; ცალკე სოფლების ზარალი ოთხას თუმანს აღემატება.

წინეთ ვენახების წამლობას ეჭვის თვალით უყურებდენ როგორც ღვთის საწინააღმდეგოს, მაგრამ შემდეგში ისე შეეჩვიენ, რომ ეოველ ქიზიყელს ვენახის წამლობა საკადებულოთ მიაჩნია.

ასეთი ეჭვით ეკიდებიან სეტყვასთან საბრძოლ მორტირებსაც, რადგან სეტყვას ოვით დმერთი გვიგზავნის დასასჯელათ, როგორც ცოდვილ ხალხს, კვირა უქმეობით მუშაობისათვისაო; ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულან მორტირების სარგებლობაში, თუმცა მაგალითი თვალწინ აქვთ კარდანახის მორტირების მეოხებით, ანაგა ვაქირიც გადარჩა განადგურებას.

რა უნდა ითქვას ბუნებაზე იმ დროს, როდესაც კაცი უარესსა შვრება; ის კაცი, რომელსაც აქვს ჩაბარებული მოამავალი თაობის ცხოვრებისათვის აღზრდა. მომზადება.

ს. მაშნაარის მცხოვრების ერთ ქვრივ დედაკაცს უთხოვნია იმის ბოსტნის წამხდენელ ჩ—შს. მასწავლებლისათვის, რომ ადარ შეეშვა ცხენები ბოსტანში, რადგანაც საშინლათ წაუხდინეს, და ამასთანავე იმის მეტი არცა რამ ნახნავი გაუჩნია, და არც სხვა რამ შემოსავალი. ამ კადნიერებას დიდათ გაურისხებია ბ. მასწავლებელი და ისე უცემია საბრალო დედაკაცისათვის, რომ თავ-ბირ სისხლიანმა მაზრის უფროსს მიმართა და ექიმსაც შეამოწმებია თავი. არა ნაკლები სისხლი იდვრება სიღნაღის განაპირა კუთხეებში იქავე ბოლიციის თვალწინ, იმ საეჭვო სავაჭროებში, რომელნიც, ადვილი მისახვედრია, არა ვაჭრობის მიზნით არიან გამართული, არამედ ცარცვა-კლეკისა და ხალხის ხოცვისათვის, რომ უფრო ადვილათ შეეძლოთ ეოველგვარი სისაძაგლის ჩადენა. ერთ ასეთ სავაჭროთა-განში ამ ორიოდე კვირის წინეთ ერთი თუში გამოასალმეს წუთი სოფელს, მაგრამ ამ ამბავმა ჩაიდულის წესლი დალია...

ჩვენში ერთი ციმბირიდან გამოქცეული მწერლის შვილი დაფარეაშობს, რომელიც წარსულ ზამთარში ნინოობა დდეს ს. ქედელში დიდი ბრძოლის შემდეგ ტეეიით დასჯრეს და დასტესადეს; მაგრამ სატესადოდან რადაც მანქანებით გამომძვრალა, და ახლა უთვლის მეექარს ს. ქ. მაჩხანის ეოფილ მამასახლისს წ. ოდოჭაშვილს: რადგანაც შენი მამასახლისობის დროს ვიქენ ციმბირში გაგზავნილი, ამიტომ, თუ შენვე არ დამიხსნი, შენც მოგკლავ და მთელ შენს საცხოვრებელსაც გავანადგურებო!.. მას რამდენჯერმე კიდეც უხელთია ოდოჭაშვილი; ერთხელ ათი თუმანი წაურთმევია, მეორეთ რამდენიმე ცხენი და რვა ძროხა. ამ რამდენიმე დღის წინათაც ოდოჭაშვილს ხარები გაუტანებია ბიჭისათვის ალაზანზე წელის დასალევინებლათ, სადაც დახვედრია ხსენებული ნაციმბირალი და სალამოდის ბიჭი ხარებიანთ ადარ გამოუშვია იმ მიზნით, რომ სალამოზე თვით ბატონი მისულიეო იმასთან; ასეც მოხდა, როდესაც ოდოჭაშვილმა სამკალს ხელი აუშვა და სალონელი არსად ჩანდა, წავიდა საძებრათ; ალაზნის ბირზე დახვდა შეიარაღებული ნაციმბირალი და განუმეორა, თუ ციმბირიდან არ დაბრუნდი, აქვე გაგათავებო. უკანასკნელმაც სიცოცხლის სიყვარულით ადუთქვა შესრულება, რომ ცოცხალი გამოეცალა ხელიდან, მაგრამ შეუძლებელის შეუსრულებლობით შეშინებულ-ვედარა სიცილდება, და ვერც გაუმხელია ავაზაკისაგან მუქარით სიკვდილის მოლოდინს. ძლიერ გავრცელებულია ჩვენში წვრილი ქურდობაც.

დროებით ქიზიყელი.

—

დ. საჩხერე. ჩვენი სოფლელები ნამეტანი შეეწროებულები არიან უგზოობის გამო. ვერ ნახავთ სოფელს, რომელშიაც ცხენით ან ურმით გავლა შეიძლებოდეს. იმდენათ წამხდარია გზები, რომ მკათათვის სიცხეებიც ვერ აშრობენ გაუვალ ტალახებს. არ გამოჩდა კაცი, რომ მოინდომოს ამ გზების გაკეთება და მით სოფლელები დაიხსნას გაჭირვეობისაგან. მაგიერათ ადგილობრივი ბოლიცია ფიცხელი ბრძანებით იწვევს ამაგე სოფლელებს, რომელთაც თავისივე სოფელში უგზოობით ურემი ვერ შეუბამთ და აკეთებინებს ჯალის მთის გზას, რომელიც მხოლოთ მთის მეპატრონეების სასარგებლოა და მათი შემოსავლის მომატებისთვის არის საჭირო. ხალხი წინააღმდეგია ასეთი განკარგულების, მაგრამ მათ არავინ უჯერის.

ამას წინეთ ავადმეოფობის გამო დამჭირდა ექიმის ნახვა. რადგან ჩვენ კაი ხანია ექიმი ადარ გვეყვა, ამიტომ წავედი ქ. ქუთაისში და იქ ბ. ხეჩინოვს მივმართეთ. ავთმეოფების მისადგილ ოთახათ ბ. ხეჩინოვს ქონია ბადეზდი (შესასვლელი), სადაც მრავალი ავთმეოფი, რომელთა უმრავლეს ნაწილს შეადგენენ ქალები, იეუჯგებოდენ კოლოფის ხელა მეტათ უსუფთაო ბადეზდში, სადაც არა თუ წამოსაწოლი ადგილი მძიმე ავთმეოფებისთვის, არამედ დასაჯდომი ადგილიც არ იბოვებოდა... ავთმეოფი ქალები, რომელთაც ფეხზე დგომა არ შეეძლოთ, იქვე იატაკზე ეყარენ, კაცები ქუჩაზე იეკენ გაჩერებული, რადგან შიგნით არც ადგილი იეო და არც შეიძლებოდა გაჩერება სიცხისა და ხალხეული ჭაერის გამო. «ბადეზდშივე, იეო «შვეიცარი". ეს შვეიცარი მეტათ საინტერესოთ იეო მოროთული და თუ არ ბძანებლობის კილოთი, ისე ავთმეოფს არას ეტეოდა. მას ეცვა ახალუხი, რომლის დილებიც თავიდან ბოლომდინ გახსნილი ქონდა. ბერანგის საკინძიც შეხსნილი და ამგვარათ ხელებ უკან შემოწეობილი დაეარეარეშებდა ავთმეოფებში ადგილის სივიწროვე მას ნებას არ აძლევდა სულ თავისეუფლათ ეფარეარეშნა და ხშირათ ავთმეოფ ქალებს კაბაზე ხან ფეხზედაც ფეხს ადგამდა, და ხირიქით იმათვე უწერებოდა... უნდა გამოგიტყდეთ, ეველა ამათმა დანახვამ მე სულ დამაეიწყა ავთმეოფობა და მაშინვე უკან გამომაბრუნა. მე მგონია, ბ. ხეჩინოვი უნდა აქცევდეს ეურადღებას თავის ბაცინტებს მით უფრო, რომ ის ვიზიტში თითო მანეთს დებულობს თურმე და ბაციენტებიც ეოველ დდე ურიცხვი ეავს.

ურნანელი.

—

ქ. ოზურგეთი. თვით არ იეო ძმარიო, შიგ ჩაესხა წეალიო, რომ იტეეიან, სწორეთ ის მოუვიდა ჩვენ ქალაქს. არა მგონია, რომ ასე აბეზარათ აგდებული ქალაქი კიდევ მოიბოვებოდეს სადმე. თუმცა არც ეწინ იეო კარგს ხირობებში, მაგრამ ახლა კიდევ უარესი დაემართა. შემოიღეს ოვითმართველობა თუ არა, ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჭქონდა, ხელებით ცას ვეწეოდით და ფეხებს მიწას არ ვეკარებოდით: ეფიქრობდით, რომ ჩვენ საქმეს თუ ეშველა რამე, ეხლა-თქო, მაგრამ იმედი გაგვიცრეედა... არავინ არის, რომ ითქროს ან საასწავლებელზე ან ქუჩების და ფარნების გაუმჯობესებაზე. არაფერი კეთებულა, გარდა ერთი საასწორის და ოთხი «ბუტკისა», რომელიც აშენებულია რადაც «ზარსტი-ბრაშჩაის» მზგავსათ. მაგრამ სხვას რას აქცევენ ეურადღებას, რომ მაგას მიაქცეთ. ი ავიღოთ თუნდა ქალაქის რადაც ერთი მწვადი მიწა. ეს მიწა

თანდასთან ვიწროდება—ურიკებენ ვიდაც-ვიდაცეებს თავის სურვილისამებრ. ადგილობრივ მცხოვრებლებს მინიჭებული აქვთ მთავრობისაგან საბალახო ადგილები. რადგან ეს ადგილი ქალაქს აღარ ეკო, სთხოვეს სამხედრო მთავრობას, რომ მას დაეთმო ქალაქისათვის კიდევ მისამტათ სხვა ადგილი. მთავრობამაც ორი დესეტინა მიწა დაუთმო იმ პირობით, რომ ქალაქს არ ეონდეს არავითარი ნება იმ ადგილზე დასახლდეს მცხოვრებნი და აგრეთვე ქალაქი ვალდებულია თუ რამე საჭიროება მოითხოვს, ის მიწა დაუთმოს ისევ სამხედრო უწყებას. მაგრამ ქალაქის «მამებმა» აბუჩათ აიგდეს მცხოვრებლები და ვიდაცეებს ურიკებენ. შარშან მაგალ. რუსების სანიშნოს და ნატანების ხიდის შუა გასცეს ნაჭერი ადგილი და ვიდაცამ კიდევაც შემოდობა და მოსახლობასაც აპირებდა ზედ; ამ ადგილის შეღობვით საქონელს წყალზე ჩასვლელი გზა აღარ დაურჩა. ამის გამო მთელმა საზოგადოებამ გინურჩევლათ წოდებისა, გააგეთ საჩივარი გუბერნატორთან და, რა გაიგო ქალაქის სტაროსტამ ეს ამბავი, იკადრა მიბრძანება და თავისი ხელით რამდენიმე ხმოსნების თანდასწრებით, დობის გარდვეგა. ამ გვარათ «მამებმა» არ იგმარეს ქალაქის ინტერესების გაქელვა და კერძო პირსაც ზარალი მისცეს. საჭიროა, რომ ამ გარემოებას უურადღება მიექცეს და ქალაქის ინტერესები დაცულ იქნას კანონიერათ და სინიდისიერათ.

მოქალაქე.

—

ბათომი. 12 იგლისს დანიშნული იყო ბათომის ქალაქის გამგეობისაგან ვაჭრობა ადესის ქუჩის მოკირწყვლის იჯარით აღებისა. გამოცხადებული იყო: 3901 მ. და 11 კ. საქმეა და ვისაც სურს მონაწილობა მიიღოს ვაჭრობაში, საჭიროა წარმოადგინოს 300 მ. გირაო. გამოცხადდენ იჯარის აღების მსურველნი, ზოგი «ადები» და ზოგიც ამ საქმის მოხელე ოსტატი სპარსელები. გამოაცხადეს, რომ საქმე 3901 მ. და 11 კ. კი არ არის, არამედ 9000 მ. და 300 მ. გირაოს მაგიერ საჭიროა ერთი-ორათ მეტი. იჯარადრები, რომელთაც 300 მ. მეტი არ ქონდათ წამოდებული, სახტათ დარჩენ; შეექნათ ერთმანეთში ვაჭრობა. ერთი ამბობს ფასს ნუ გავაფუჭებთ მე ჩამარჩინეთ და ამდენს მოგცემთო, მეორე უპასუხებს, მე ორ მაგდენს ვიძლევი, ოდონდ ხელს ნუ მიშლითო. ბოლოს მორიგდენ და საქმე დარჩა, ჩვეულებრივ, ეფრემიდს საყენი 3 მ. და 20 კ. ამ საქმის მოხელე სპარსელები კი ამბობდენ, რომ ასე მოხერხებით რომ არ მომხდარიყო საქმე და ჩვენ გავეშვით ვაჭრობაზე, საყენს 2 მანეთათაც დიდი სიამოვნებით ავიდებდით, რადგან ხელს გვაძლევსო. აი ასე ზრუნავენ აქ ქალაქის საქმეებზე, რამდენი 2 და 3 ათასი მანეთები ედუბება ქალაქს, მარა რა ვუყოთ. ხომ სანაგვეზე ურიან და არა ზდვაში. ალბათ სარგებლობს ვინმე.

ა.—ლი.

რუსეთის ცხოვრება

ამას წინეთ მიხაილოვის თავად აზნაურთა უოფილ წინამძღოლს თავ. დ. ნ. გაგარინს დაეცენ თავს ვიღაც ბოროტგანმზრახველები, რაც თავადი სოფ კოროვინიდან თავის მამულში ბრუნდებოდა. მიზეზი ამ თავდასხმისა როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ შემდეგი ეოფილა. თავ. გაგარინს დიდი ტეეები ქონებია კოროვინის მახლობლათ და რომ ისინი დაეთარა ხალხისაგან, დაუქირავებია 40 დეკი, რომელნიც თურმე ტეის დასაცველათ იარაღს ხმარობენ ხოლმე და არა ერთი კლესი სიცოცხლეს გამოასალმეს. საზოგადოთ კლეხებს ტეეში ხის მოჭრა და შეშით სარგებლობა ისეთ ჩვეულებრივ მოვლენათ მიაჩნიათ, რომ არც ერთი პატიოსანი და კონიერი კლეხიც კი უარს არ იტეეის სხვისი ტეეთ სარგებლობაზე. ესეც რომ არ იყვეს და ტეეს იბარავდენ მართლაც ზნეობით დაცემული ქურდები, მაშინაც კაცის მოკვლას ადგილი არ უნდა ქონდეს. ხალხის კაკვირვებულ მდგომარეობამ დღეს უკიდურეს ხარისხს მიაღწია და უკვეკგან თავი იჩინა იმ არეულმა მდგომარეობამ, რომელზედაც დაპარაკობს 26 თებერვლის ვედომოსტი და რომელიც სრულიადაც არ წარმოადგენს წუთიერ, — ეპიზოდურ მოვლენას. საერთო უკმაყოფილებას კლეხთა შორის უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვინემ ზოგი ფიქრობს. ის არ არის გამოწვეული ამა თუ იმ მიწათ მფლობელის ბირადი თვისებებით. ამას მოწმობს მეორე ფაქტი, რომელსაც აგრეთვე ტრაგიკული ხასიათი ქონდა. ჩერნოგორიის გუბერნიაში მოკლეს თავის მამულში თავ. ვ. ბ. ურუსოვი. როგორც ერთი „ბეტერბ. ვედომ.“ თანამშრომელი კამოგვცემს, თვითონ ურუსოვი სრულიათაც არ ეოფილა გულბოროტი კაცი. კლეხებთან ცუდი განწყობილება არ ქონია, წინააღმდეგ ხშირათ აძლევდა მიწას, ტეეს და სხვა მხრივაც უწყობდა ხელს. მიუხედავათ ამისა ის მსხვერპლი გახდა ხალხის აღელვებისა. უკმაყოფილებამ მაინც მოიკიდა ფეხი, რადგან თავადი მაინც ბატონურათ იქცეოდა. ის დანძღავდა მხერხავებს, რატომ კარგათ არ მუშაობთო, ემუქრებოდა სპეურობილეში ჩაგსვამთო, კიდეც ესროდა ლეკორველი, თუმცა პირი მადა უქნა, რომ არავინ დაშავებულიყო. მერე ის მიდის სოფელში, კრებს ხალხს, ამტკრევს სტაროსტის სახლში ფანჯრებს, ისევ სროდიობს ლეკორველს, ერთი სიტყვით ისე იქცევა, როგორც სრული ბატონი, რომელიც არავის პასუხს არ აძლევს თავის მოქმედებაში. და აი ასეთ ნიადაგზე ადმოცენდა საშინელი დრამა, რომელმაც იმსხვერპლა თავ. ვ. ბ. ურუსოვი. სოფლის მოხელენი და მაღალ წოდების პირნი ეკვლა ამ უბედურების მიზეზათ სოფლის ინტელიგენციას თვლიან, სოფლის ფერშლებს, ექიმებს, მასწავლებლებს და სხვ. მარა ისინი რა შუაშია, როცა ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ კონფლიქტი აუცილებელი ხდება?

ბოლიციის დეპარტამენტმა ქ. ბეტერბურგიდან აცნობა ქ. ეკატერინოსლავის საგუბერნიო მმართველობას, რომ ამ მოკლე ხანში მას გაეგზავნება 225 სამხედრო რეკოლვერი სამაზრო პოლიციის დარაჯების შესაიარაღებლათ. ამას გარდა გაეგზავნა თოფის პატრონები: ნოვომოსკოვის მაზრის პოლიციას - 3,500 ცალი, პავლოგრადისას—2,600, ზემო-დნეპრისას—2,800, ალექსანდროვისას—2,800, სლავიანოსერბისას—2,900, ბახმუტისას—2,000, მარიუპოლისას—2,900 და ეკატერინოსლავის მაზრის უფროსს —3,000.

საზღვარ-გარეთ

ბულგარია. ხალხის უფლების შეზღუდვას, მათი წმიდათა წმიდის შელახვას, რომ საკეთილო შედეგი არ მოუვეს, ეს ეკვლასათვის ცხადი უნდა იყოს. მაგრამ ბოლგარიის მეფეს მაინც შესაძლოთ მიაჩნია ასეთი საქმეების ჩადენა. კონსტიტუციის კანონებს ერთი მეორეზე აკვეტს ფრთებს. ამას წინეთ გამოცემულმა კანონებმა იმის შესახებ, რომ ეოველი სახელმწიფო მოხელე მთავრობისგან ინიშნებოდეს, ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია. ასეთი კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ძირითად კანონებს და დარღვევაა ხალხის საკანონმდებლო უფლებების. ფერდინანდის ოფიციალური გაზეთები იმით ამართლებდენ მთავრობის მოქმედებას, რომ ასეთი კანონის გამოცემას აიძულებს განსაკუთრებული მდგომარეობა ქვეყნისა, მტრის შამოსევის მოლოდინი და სხვ. მაგრამ ასეთ თვალის ამხვევ არგუმენტაციას აღარავინ უჯერის. ხალხი ხედავს, რომ სახელმწიფოს მდგომარეობა სრულიადაც არ თხოულობს კონსტიტუციის ასეთ შელახვას და რომ ასეთი კანონი მხოლოდ მთავრობის უფლების და კეკლუნის გასაძლიერებლათ არის შემოღებული. სახელმწიფოს თიოქმის ეკვლა წრეები აღელვებული არიან ფერდინანდის ასეთი თვითნებობით. მას დეპუტაციაც გაუგზავნეს ამის შესახებ, და მოახსენეს, რომ ხალხი არ თანაუგრძნობს მის მოქმედებას და ბროტესტს უცხადებს კონსტიტუციის დარღვევი-

სთვის. საზოგადო უკმაყოფილებამ მთავრობისადმი მეტათ შეაფიქრა ბოლგარიის მთავრობა. ფერდინანდს წარმოუდგა თვალწინ სერბიის უკანასკნელი დრამა და მან ამჯობინა გაშორებოდა დროებით ბოლგარიის საზღვრებს. ოფიციალური გაზეთები წასვლის მიზეზათ სხვადასხვა გარემოებებს ასახელებენ; სხვა გაზეთები კი ერთხმათ ირწმუნებიან, ფერდინანდს ხალხის მსჯავრის შეეშინდა და იმიტომ გაიქცაო. რომ ეს უკანასკნელი აზრი უსაფუძვლო არაა, ამას შემდეგ გარემოებებიდან დავინახავთ, კაზეთ. «ვეჩერნ. პოჩტა» გადმოგვცემს, რომ ბოლგარიის სატახტო ქალაქ სოფიაში დიდ ადელვებას იწვევს პოლიციის მოქმედება, რომელიც ვითომდა დამალულ იარაღების საპოვნელათ ჩხრეკას კერძო სახლებს. ჩხრეკის დროს არ ინდობენ არავის, არც ქალს, არც ბავშვს, ეველას ტანშე, აწვალებდენ, ვითომდა გამოსატეხათ. სხვათა შორის უტეხათ რამდენიმე ქალისა და ბავშვებისთვის, დაწერილია ორი ძმა-ალიტრები და ერთი მათგანის 5 წლის შვილი. პოლიციის ნაწილში ტანმით ერთი ქალი ჭკვაზე შემცდარა. ბატარა ბავშვიც უწვალებიათ იმ მიზნით, რომ მისგან შეეტყოთ სად ინახებოდა ეუმბარები და სხვ. ასეთმა ბარბაროსულმა ქცევამ, რომელიც მხოლოდ ოსმალეთის პოლიციას შეეფერის, ძალიერ აადელვა ხალხი სოფიაში. სოფიის გრადონაჩალნიკი ქალაქიდან წასულა, რადგან ხალხის ადელვების შეშინებია. ხალხი დიდ უკმაყოფილებას აცხადებს მინისტრების მოქმედების წინააღმდეგ, და მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. ხალხი არ ითმენს მინისტრების მართლებასაც კი. ეველა ასეთებს ზიზღს უცხადებს. მაგ., სოფიის უწყებებში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც ცდილობდა მთავრობის მოქმედების გამართლებას ისაზოგადოების თვალში. ამაზე გაზეთს ოთქმის ეოველ დღე მოდის წერილები, რომლებშიაც მას ზიზღს უცხადებენ მთავრობის გამოსარჩლებისათვის. რომ დაბეტკიცებია თავის მიუდგომლობა, გაზეთმა დაბეჭდა ერთი ასეთი წერილი: „ბ. რედაქტორო! სწერს წერილის ავტორი, თქვენ მრუდე გზას დადგომიხართ და იცავთ ბოლგარიის კნიაზს, რომელმაც გაქედა ხალხის უფლებები კონსტიტუციის კანონების გაუქმებით. თქვენ იცავთ ფიცის გამტეხს. თქვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო გამოგონილი სუბარი, რომლითაც გინდოდათ კნიაზის გამართლება. კარგი, თუ გინდათ ამართლეთ. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ბოლგარიის ხალხი,—შეუგნებელ ცხვრის ჯოგს წარმოადგენდეს. ის მალე ხმას ამოიღებს და მძლავრათაც შემოსძახებს. ვწუხვართ, რომ თქვენი გაზეთი, რომელსაც შეეძლო ჩვენში სიმპატია მოეპოვებინა, ეველას ზიზღს დაიმსახურებს».

— პროვინციალური გაზეთები ბოლგარიისა იუწყებიან, რომ იქ მთავრობის მოსეიდული პირები დამით თავს ესხმიან დაბა-სოფლებში საბჭოების ხმოსანთ და სოფლის სტაროსტებს და ძალით ხელს აწერინებენ სამსახურიდან გადადგომაზე. ბევრ ადგილს ხალხი იძულებული შეიქნა თავის დასაცვეთ ზომები მიეღო...

ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ: ვენგრიის პარლამენტში უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში ობსტრუქცია არ შეწყვეტილა. კუნ-ხედერვარდის დანიშვნას ამ მხრივ არავითარი სარგებლობა არ მოეოლია. მართალია მას გრაფ აპპონიმ და კოშუტმაც პირობა მისცა ობსტრუქციაზე ხელს აიღებთო, მარა ახლა ობსტრუქციის მეთაურათ ბარბაბში გამოვიდა. ის გამოცდილი პოლიტიკოსია, ნიჭიერი ორატორი და ხალხში დიდი გავლენა აქვს. კოშუტმა სიტყვა მისცა უკვე და ამიტომ ვერ იღებს მონაწილეობას ობსტრუქციაში და დამოუკიდებელთა კლუბის თავმჯდომარეობაზედაც უარს ამბობს. ბარბაბში თავის თავზე იღებს ობსტრუქციის ხელმძღვანელობას და მას ემხრობა 50 დეპუტატი დამოუკიდებელი პარტიისა. ობსტრუქციის უმთავრესი მიზანია, როგორც ვიცით, უნგრეთის ჯარის დამოუკიდებლობა გამოსტაცოს მთავრობას. ახლა როგორც ადმოჩნდა ამის მომხრე ეოფილა ეველა ლიბერალები. ამას ნათლათ ამტკიცებს ის გარემოება, რომ ლიბერალები არას ამბობენ ობსტრუქციის წინააღმდეგ გრაფ აპპონიმ თუმცა იდაპარაკა, მარა ამით უფრო დაამტკიცა, რომ ის პრინციპიალურათ თანახმაა ბარბაბაშას მოთხოვნილების, მხოლოდ გონებს, რომ უობსტრუქციოთაც შეიძლება მათი მიღება. ობსტრუქცია, მისი აზრით, დიდ ზიანს მოუტანს სახელმწიფოს, ეს კი სასურველი არაა. უნგრეთისთვის სასარგებლოა ავსტრიასთან დაკავშირება. მაშასადამე ამ დაკავშირების მხუბრვლიც არ უნდა დავიშუროთო. ამით მან ადიარა, რომ ეველა პარტიები მოწადინებულია დამოუკიდებელი ჯარის შამოღებას, მარა თანხმდება ამ პროექტის ნაწილ-ნაწილათაც განხორციელებაზე. ობსტრუქციონისტები კი თხოულობენ დაუყოვნებლივ მათ ასრულებას და იმედიც აქვთ, რომ საწადელს მიაღწევენ. მთავრობა მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმეოფება. ჯერ პარლამენტს არც ბიუჯეტი დუმტკიცებია და არც რეკრუტების მოწვევა. ამიტომ მთავრობას არ შეუძლია ხარკი მოკრიფოს. კუენმა არ იცის, რა დონე იდონოს! ხელი აიღოს მინისტრ-პრეზიდენტის პოსტიეელზე? მარა ეს სრულიადაც არ ცვლის საქმის მდგომარეობას. გაიეკანოს პარლამენტში ძალით ბიუჯეტის დამტკიცება და კანონი რეკრუტების მოკრების შესახებ? მაგრამ შესაძლებელია ასეთმა ზომებმა რეკოლიუცია გამოიწვიონ, რადგან მთელი ხალხი აღელვებულია. ამასთანავე ისიც საეჭვოა, რომ ასეთ ზომებს ლიბერალებმა მხარი დაუჭიროთ. გაუშვას პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს? მარა არც ეს მოიტანს სარგებლობას. მთავრობას ბიუჯეტის დამტკიცებამდი უფლება არა აქვს პარლამენტი დაითხოვოს და ასეთი მოქმედება ადვილათ შეიძლება ობსტრუქციონისტებმა უკანონოთ ჩათვლონ და არ დაიშალონ, მაშინ მათი ხიშტებით განდევნა შეიქნება საჭირო და ამასაც რევოლიუციის სუნი ეელის. კიდეც რომ მოაწყოს ეს საქმე მთავრობამ, მაინც არა გამოვა-რა. ახალი არჩევნები მთავრობის პარტიის გაძლიერების მაგიერ, დამოუკიდებელ პარტიას მოუტანენ გამარჯვებას. არის მხოლოდ ერთი საშუალება, ოპოზიციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება...

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ: ბერნარდ კესტლში დამტკიცითი არჩევნები მოხდა. უნდა აერჩიათ ერთი დებუტატი. ეს არჩევანი იმით არის შესანიშნავი, რომ აქ მუშებმა პირველათ წამოაყენეს თავისი კანდიდატი ლიბერალურ კანდიდატის წინააღმდეგ. წინეთ მუშებსაც ლიბერალებს საერთო კანდიდატი უყავდათ. ეველას ეგონა, რომ საკუთარი კანდიდატების წამოყენებაი ისინი ერთმანეთს დაასუსტებდენ და გამარჯვება მათ საერთო მოწინააღმდეგეთ, უნიონისტებს დარჩებოდათ. 1900 წ. არჩევნებზე ლიბერალ კანდიდატს ამოუყიდა 5031 ხმა, კონსერვატორს — 3545. ოპოზიციონისტებ შორის მომხლარ განხეთქილებამ გაიარჯვების იმედი მისცა ჩემბერლენის პროექტის მომხრეთ და მით აავსეს ოდქი თავის მოწოდებებით დაგზავნეს ეველგან თავის კორესპონდენტები, რომლებსაც უნდა აეწერათ მათი გამარჯვება. მაგრამ არჩევნებმა საბოლოოთ მოსტეეა ისინი. მუშების დეპუტატმა გენდერსონმა მიიღო 3,670 ხმა, კონსერვატორმა გენვენმა—3,323, ლიბერალმა ბომანმა 2,809. ამ ნაირათ გამარჯვებული დარჩა მუშათა კანდიდატი. გენდერსონი მოწინააღმდეგეა პროტექციონიზმის შემოღებისა. მისი არჩევა ერთი მხრით გვიჩვენებს, რომ ხალხი წინააღმდეგია ჩემბერლენისა, მეორე მხრით ის მოწმობს, რომ მუშებმა საკმაოთ შეიგნეს საკუთარი წარმოადგენლის ოღის საჭიროება პარლამენტში. ამ არჩევნებმა დიდი დაპირაკი გამოიწვია პრესაში. ლიბერალური გაზეთები ადიარებენ, რომ გერდენსონის არჩევა—ჩემბერლენის ბლანის დამარცხებაა. ამასთანავე უგმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ პროგრესიული ელემენტები განცალკევებით მოქმედებენ და კონსერვატორს კანდიდატ მისცეს გამარჯვება. „მართალია არჩეული გენდერსონი საუკეთესო წარმომადგენელთ უნდა ჩაითვალოს ისეთ ოდქისათვის, სადაც მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას მუშები შეადგენენ. პარლამენტში ისეთ პირების შემოსვლა, რომელნიც პირდაპირ უდგანან მუშათა ცხოვრებას, რომელნიც მათთან ფაბრიკაში, გვირაბებში მუშაობდენ, ახალ სულს ჩაბერავს პროგრესიულ მოძრაობას. ახლა პარლამენტში იმეოფებიან მხოლოდ ისეთი პირები, რომელნიც

ლები, მიწათმფლობელები, ქარხნის, მთა-მადნის პატრონები, ბანკირები, რომელნიც მესაკუთრენი არიან და უგულავფერს მესაკუთრეების ინტერესების მიხედვით ზომავენ. ბევრ შემთხვევაში მათ კარგათ ესმით თავის მოვალეობა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ისინი ერთგვარი წრის წევრები არიან და ამ წრის გაგულებას თავიდან ვერ აიცდენენ. კასტიური ადამიანი წარმომადგენელი იმ კასტის, რომელსაც ეკუთვნის. მესაკუთრე—წარმომადგენელია მხოლოთ საკუთრების. დადგა დრო, როცა ხალხის წარმომადგენლათ პარლამენტში უნდა იყოს ამაგე ხალხისაგან ამორჩეული პირი. პარლამენტი უნდა იყოს წარმომადგენელი მთელი ერის, სრკე მისი ცხოვრების, ამიტომ მასში უნდა თავს იერიდენ „ეგულა კონებრივი და ზნეობრივი მხრით საუკეთესო წარმომადგენელნი ეგულა კლასებისა». ამასთანავე დიბერალური გაზეთები დასძენენ, რომ მუშათა პარტიას არ შეუძლია მარტო იკისროს პროგრესიულ მოძრაობის ხელმძღვანელობა. ამიტომ საჭიროა ისინი დიბერალებთან შეთანხმებით იმოქმედებდენ.

ამბობენ თითქოს...

ამბობენ, თითქოს კაცთ ნათესავმა
უკვე დაკარგა ხსნის იმედიო,
ადრე თუ გვიან გზა-კვალს დაუბნევს
დაუნდობელი მწარე ხვედრიო.

ბევრნი ამბობენ: უკან მივდივართ
შეუკავებლათ, კისრის ტეხითო
და არას ძალუძს ამიერიდან
ჩვენი აღდგენა კვლავად მკვდრეთითო;

თანც უმატებენ: დასერილ გულებს
ვერ გაგვიმთელებს სიყვარულიო
და ჩვეულებრივ ფრთებს ველარ გაშლის
შეგინებული რწმენა, სულიო.

ასე მოსთქვამენ და დაკნინებულთ
თვალთგან ჩამოსდის ცრემლთ ნაკადული,
მაგრამ მე მათში არ ვურევივარ,
სულ სხვა რამ აზრით გატაცებული.

დე, იმწუხრონ, ცრემლები ღვარონ...
მე მათ რას დავდევ, რა მენაღვლება;
გულს რათ გავიტეხ, როს ტკბილ მომავლის
მთელი სურათი თვალ-წინ მეშლება.

ავაფრიალებ მაღლა ხსნის დროშას
წინ სვლის სურვილით გატაცებული,
თვით გარდვიქმნები უძლეველ ძალათ,
რწმენით, იმედით აღფრთოვანებული.

და იმ თავითვე ძმასავით შეზრდილს,
კვლავ ავაღერებ ჩემსა ჩონგურსა
და სიმთ წკრიალით გავაღებინებ
ხმას სანეტაროს, ხმას საამურსა.

ცეცხლს მოვიკიდებ ნეტარებისას,
გრძნობათ მორევათ გარდაქცეული
და ზედ დავძახებ გმირულს სიმღერას
სულით ამაყი, გალაღებული:

„რწმენა დაკარგულს, ლაჩარს და ჯაბანს,
ცხოვრებისაგან შორს გარიყულსა,
სად შეუძლიან, რომ გაუმკლავდეს
ცხოვრების ზვირთებს გამძვინვებულსა?!“

„ვისაც არა რწამს, არ აფრთოვანებს
თვით განახლების რწმენა დიადი,
არა, არ მჯერა რომ შეიგუოს
ახალი ხანის მან განთიადი“.

„სადაც მონურათ ყველა ქედს იხრის,
თვალს ვერ უსწორებს ვარამს და ჭირსა,
რა ადგილი აქვს იქ სიყვარულს, ან
ძმობა-ერთობის წმინდა კავშირსა?!“

„მაგრამ ვინც რწმენით, სრულის იმედით
ებრძვის უშიშრათ ცხოვრების ზვირთებს,
წინ, წინ მიილტვის ამაყათ მისთვის,
რომ მიაღწიოს აღთქმულ ნაპირებს“;

„ვინც შეგნებულათ იბრძვის და ხედავს
თვით ამ ბრძოლაში შვებას და ხსნასა
და მით უმზადებს მომავალ მოდგმას
თვით ბრძოლის მიზანს: ახალ ხანასა“

„მრწამს, ვით ჯვარცმულის უკვდავი მცნება,
ის გაიმარჯვებს ბრძოლისა ველზე
და სიკვდილის წინ მაინც აიტანს
წამების ჯვარსა გოლგოთის წვერზე“...

მაშ ისევ ბრძოლა, ბრძოლა მედგარი!..
დევიზათ: წინ სვლის უკვდავი ჟინი,
რომ მომავალში მაინც გაისმას
გამარჯვებულთა მძლავრი ყიჟინი.

ლადო ახობაძე.

ჭრელი სუფრა

(ფარსი-კომედია)

მოქმედნი პირნი:

ვლადიმერ აფეთქეშვილი, უადგილო 30 წლისა.
ნიკო ნალბანდიშვილი, ისტორიკოსი.
ვასო ქარქარაძე, პოეტი.
პეტრე პეტრიაშვილი, ბელეტრისტი.
} ახალგაზდა მწერლები.
წიტრიკა, ძველი ტანისამოსით მოვაჭრე.
ვართან ვართანოვი. 50 წლის, სახლის პატრონი.
სონა ნუკრაძე
ლიზა ხარაზიშვილი
მაშო შროშანაძე
} ახალგაზდა ქალები.
ნინა წივწივაძესი, ქვრივი 40 წლისა.
სალომე, მოხუცებული, დედა სონასი.
ბოქაული.
ორი მუშა.
მეეზოვე (დვორნიკი].

მოქმედება პირველი.

პატარა ოთახი შეცვეთილი შპალერით. სდგას ორი კუშეტკა, ორი სკამი, ერთი სტოლი, კუთხეში პირისაბანი ტაშტი და წყლის ლიტრა. ოთახი დაუგველია, იატაკზე ყრია პაპიროსის ნამწვი, ქაღალდები... წიგნები, საწერელ-კალმები.

გამოსვლა პირველი.

ლადო, ვასო, ნიკო და პეტრე.

ლადო. (ზის სტოლთან, წინ არეის ბოთლი, ჭიქა, ძეხვი და პური უძევს, დანარჩენნი ბოლთასა სცემენ, ხელში კალმები უჭირავთ, სწევენ პაპიროსს, რადაც ადელვება ეტყობათ. პაუზა) აი, ახლა კი მოუარათ ამ ოხრებს ჭვინტაკებმა (უშტვენს) ჰა, დააფრინეთ რაღა! (სვამს).

„ვისაც არა რწამს, არ აფრთოვანებს
თვით განახლების რწმენა დიადი,
არა, არ მჯერა რომ შეიგუოს
ახალი ხანის მან განთიადი“.

„სადაც მონურათ ყველა ქედს იხრის,
თვალს ვერ უსწორებს ვარამს და ჭირსა,
რა ადგილი აქვს იქ სიყვარულს, ან
ძმობა-ერთობის წმინდა კავშირსა?!“

„მაგრამ ვინც რწმენით, სრულის იმედით
ებრძვის უშიშრათ ცხოვრების ზვირთებს,
წინ, წინ მიილტვის ამაყათ მისთვის,
რომ მიაღწიოს აღთქმულ ნაპირებს“;

„ვინც შეგნებულათ იბრძვის და ხედავს
თვით ამ ბრძოლაში შვებას და ხსნასა
და მით უმზადებს მომავალ მოდგმას
თვით ბრძოლის მიზანს: ახალ ხანასა“

„მრწამს, ვით ჯვარცმულის უკვდავი მცნება,
ის გაიმარჯვებს ბრძოლისა ველზე
და სიკვდილის წინ მაინც აიტანს
წამების ჯვარსა გოლგოთის წვერზე“...

მაშ ისევ ბრძოლა, ბრძოლა მედგარი!..
დევიზათ: წინ სვლის უკვდავი ჟინი,
რომ მომავალში მაინც გაისმას
გამარჯვებულთა მძლავრი ყიჟინი.

ლადო ახობაძე.

ჭრელი სუფრა

(ფარსი-კომედია)

მოქმედნი პირნი:

ვლადიმერ აფეთქეშვილი, უადგილო 30 წლისა.
ნიკო ნალბანდიშვილი, ისტორიკოსი.
ვასო ქარქარაძე, პოეტი.
პეტრე პეტრიაშვილი, ბელეტრისტი.
} ახალგაზდა მწერლები.
წიტრიკა, ძველი ტანისამოსით მოვაჭრე.
ვართან ვართანოვი. 50 წლის, სახლის პატრონი.
სონა ნუკრაძე
ლიზა ხარაზიშვილი
მაშო შროშანაძე
} ახალგაზდა ქალები.
ნინა წივწივაძესი, ქვრივი 40 წლისა.
სალომე, მოხუცებული, დედა სონასი.
ბოქაული.
ორი მუშა.
მეეზოვე (დვორნიკი].

მოქმედება პირველი.

პატარა ოთახი შეცვეთილი შპალერით. სდგას ორი კუშეტკა, ორი სკამი, ერთი სტოლი, კუთხეში პირისაბანი ტაშტი და წყლის ლიტრა. ოთახი დაუგველია, იატაკზე ყრია პაპიროსის ნამწვი, ქაღალდები... წიგნები, საწერელ-კალმები.

გამოსვლა პირველი.

ლადო, ვასო, ნიკო და პეტრე.

ლადო. (ზის სტოლთან, წინ არეის ბოთლი, ჭიქა, ძეხვი და პური უძევს, დანარჩენნი ბოლთასა სცემენ, ხელში კალმები უჭირავთ, სწევენ პაპიროსს, რადაც ადელვება ეტყობათ. პაუზა) აი, ახლა კი მოუარათ ამ ოხრებს ჭვინტაკებმა (უშტვენს) ჰა, დააფრინეთ რაღა! (სვამს).

ვასო. უბედურო, შენ გესმის რა არის „ვდოხნოვენიე“, მუზა, პოეტის მუზა?! ოხ, ბაირონ, ბაირონ!

ლადო. დაიკარგე და! ისე ახსენებ ბაირონს, თითქოს ნათლია შენი იყოს!

ნიკო. (შესდგება, შუბლზე თითს მიიდებს). ქორონიკონი იყო რ. ყ. პ... ვახტანგ მეფე, არჩილ მეფე... ნაბუქოდონოსორი...

ლადო. ჰაიდა ბიჭო! შაუტია! მერე, მერე?! ფარაონი, კირიონი, ფილიმონი!

ნიკო. ასეთია ძალნი ისტორიისანი და ჩემი, როგორც ისტორიკოსის მოვალეობაც ის არი, გავარჩიო და გავარკვიო ერთმანეთში გახლართული ისტორიის ძაფები.

პეტრე. (მიდგა კუშეტკასთან) ჩემი მოთხრობის გმირი ამ ქამათ უნდა იყოს ჩემი ნინა; ოხ, რათ ღირს ჯერ ერთი მისი თვალების აწერა?!

ლადო. ერთი შენა გაქვს მშვენიერი თვალები და მეორე იმას!

ნიკო. (იჩოქებს მეორე კუშეტკასთან საწერელ კალმით) დროა დავიწყოთ, ასე სწერდა ჰომეროსიც...

ლადო. არა, შე ბატის-ტვინავ, თვალები რო ქონდეს იმ შენ ნინას, ვერ გაგარჩევდა, რა ჯოჯო ხარ?!

პეტრე. (წამოვარდება კალამ მოამარჯვებული) გაჩუმდი შე ლოთო, თორე შიგ გულში ჩაგიყრი კალამს!

ლადო. (უდერებს მუშტს და მიიწევს) როგორც ნიორს, ისე ჩაგინაყავ მუზებს მაგ ცარიელ თავში!

ვასო. (რომელიც აქამდე ბოდთასა სტემდა, ჩადგება შუაში) შესდექით, თქვე უბედურნო!

ნიკო. (მიხედავთ) ისტორიკოსისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ყოფილა ამაზე უარესი ბრძოლაც, მაგალითათ, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა წინასწარმეტყველ მოსეს გზა გადაუღობა... (სწერს კუშეტკაზე, დაჩოქილი).

ლადო. არაყი არ დამიღვაროთ, თორე ისეთ ღობეს გაგივლებთ შუბლზე პოეტსაც და ბელეტრისტაც, რო სუ ბუზები დასეირნობდენ ზედ ტარანტასით!

პეტრე. (ჯდება კუშეტკაზე, წინ სკამი უდგას და სწერს) მე არავის ვაპატივებ მის შეურაცხყოფას...

ვასო. (ლადოს) მეგობარო, თუ შეიძლება სტოლი მამიცალე, მინდა ლექსი დავწერო.

ლადო. წადი დაიკარგე იქით! ეგ ბუღლუწო იატაკზედაც გაკეთდება!

ვასო. (ამოიდებს უბის ჯიბიდან კარანდაშს, ქაღალდს, წვება იატაკზე და სწერს) ოხ, სამშობლოვ. სამშობლოვ, ვინ იცის რა ტანჯვით იწერება ის ლექსები, რომელნიც შენ ოდესმე დაგატკბობენ... გვიან იქნება სინანული!

ლადო. აი, შვილები რო გამოეზარდოს ოჯახს სწორეთ თქვენისთანა! ერთია ისტორიკოსი, მეორე ბელეტრისტი, მესამე პოეტი... მამა გიცხონდათ, ერთი მითხარით, ვის რა არგეთ, ან თქვენ რა ირგეთ მაგ ჯლაბნით? მისწოლიხართ ცარიელ მუცლებით ფიცრებს და აწრიპინებთ კალმებს, ახლა ყური თქვენ მუცლებსაც დაუგდეთ, როგორ წრიპინებენ და!.. ან სად, რომელ გაზეთში, ან ჟურნალში დაიბეჭდა თქვენი ნაწარმოები? რაზე აგდებინებთ რედაქციის გოდრებს ძირს? (სიჩუმე) ო...ო...ო... გაუსვეს, გაუსვეს, ჰარიქათ ჩქარა, თორემ პოეზდი წავიდა!.. აი ეს რო არი, არი! (უჩვენებს არაყის შუაზე) ამას რო დავლევ ხოლმე, სუყველაფერი ვარ. თუმცა არა ვწერავ, მაგრამ ბაირონზე მაღლა დავფრინავ, ფარაონზე უძლიერესი ვარ და ზოლაზე რეალისტი. ზოლა სწერს მაგალითათ, ესა და ეს გმირი სვამსო; ის მხოლოთ სწერს, მე კი აი ნამდვილათა. ვსვამ (სიჩუმე) ჰა, არ დაღუპოთ საქართველო, აი ქაღალდს მე მოგაშველებთ. (ადგება ტაკზე).

სტოდიდან, ხევს და ურიგებთ) ეგრე, ეგრე ჩემო ტვინის კოლოფებო! მაგრამ არ იფიქრებთ ამალამ სად ათენებთ? ეი, ოხრებო, არ იცით რო ღღეს პოჩოტნი ყარაბაღიდან გავიყვანონ აქედან?

ნიკო. (წამოდგება და კითხულობს) ქორონიკონი იყო ჩ. ლ. მ. თუ ჩვენც ვითარცა ერს, ვითარცა ნაციას, ვითარცა ქართველთა ტომს, ქართველთა ხალხს, გვინდა თავი ვიჩინოთ სხვა ერთა, ნაციათა და ტომთა შორის...

ვასო. კაცო, რა არის რო ხმა მაღლა არ წაიკითხო, ხო იცი, რო მიშლი!

ნიკო (განაგრძობს) მაშინ ჩვენც, ვითარცა ნაცია და ტომი...

პეტრე. კაცო, გაჩუმდი, აზრი ნუ შემაშლევინე, ბაყაყის მაგიერ ხვლიკი დავწერე.

ლადო. კაია შენმა მზემ ნინა, ბაყაყი და ხვლიკი! ახლა მეც პრეტენზიას ვაცხადებ: ნუ მიშლით „ვდოხნოვენიეს“ (სვამს). არ შემიშალოთ!

ნიკო. დიახ, ვითარცა ნაცია და ტომი სხვა ტომთა შორის უნდა გამოვიდეთ ჩვენც ჩვენის ისტორიით და უჩვენოთ მათ რო...

პეტრე. მამა გიცხონდა, ვისაც გინდა უჩვენე, ოღონდ ეხლა კი გაჩუმდი, აი სულ ცოტა-ღა მიკლია და მეც გავათავებ.

ვასო. ერთი რითმაც, ერთიც და გათავდა!

ნიკო. ახლა ჩემი რა ბრალია რო თქვენ ფიცხელი მოსაზრება არა გაქვთ, განა მაგდენხანს აზრი ვერ გამონასკვეთ?

ლადო. მე, ყმაწვილებო, ყველაზე ადრე გავათავე, ერთი შემოხედეთ ჩემს საწერელს (უჩვენებს ბოთლზე) თითქოს ყუდროზე გამომშრალა!

ნიკო. ეგ ჩემი საქმე არ არის, (კითხულობს) დიახ, ვუჩვენოთ მათ, რო ჩვენ ვართ ქართველები, ქართლოსიანნი, გარეშე ჰაოსიანთა ე. ი. სომეხთა, ლეკთა, თურქმენთა...

ვასო. ამაზე მეტი მოთმენა აღარ შეიძლება, კაცს არ აცლი საქმე გააკეთოს! (წამოვარდება და ქაღალდს ხელიდან გამოგლეჯს).

ნიკო. არ მიეკარო, შე უბედურო, რიფმების მჩხაპაო! (უნდა ქაღალდი წაართვას).

პეტრე. (იჭერავს ნიკოს) შენ ყოველთვის ასე იცი, თუ კაცს ხელი არ შეუშალე, არ იქნება!

ვასო. აი შენი ისტორია! (ხევს) წადი შე უტვინო! (იწევენ ერთმანეთზე, ფეხ-ქვეშ ითელება ვასოს ნაწერიც).

ლადო. ერთი ბოთლის ფულს ჩამოდით და გაგაშველებთ, ა...ა და ჯანი გაგვარდეთ! მაგრამ, ყმაწვილებო, ბაირონს და ჰომეროსს არ ეკადრებათ ერთმანეთის ტყეპა!

ვასო. ოხ, ჩემი ლექსიც ფეხ-ქვეშ გაითელა! ეხლა კი მეტი ყელში აღარ ჩავიდა (მიიწევს).

პეტრე. ნუ გაგიჟდით თქვე ოჯახ დასაქცევებო!

ლადო. კარგით, კარგით, ეხლა კი გეყოფათ, სიცხე გაგივლიდათ (აშველებს). აბა რა გაჩხუბებთ, თქვე ოხრებო, დეეყარენით და ალადგინეთ ისევ, ნუ დაღუპავთ სამშობლოს!

ნიკო. მე დავწერე დიდებულ ვახტანგ მეფეზე და როგორ გაბედა მაგან, რო შეახო თვისი უწმინდური ხელი!

ვასო. შენ მე უზენაესი, ზილფოვანი და ჰაეროვანი გრძნობანი გამითელე ფეხ-ქვეშ.

ნიკო. მაგრამ, იცოდე, შენი თვალის მოსათხრელათ ახლა უფრო უკეთესს და უკეთესზე დავწერ! (განაგრძობს წერას).

ვასო. მეც ალადგენ ჩემს დანგრეულ ტაძარს (წვება ია-

პეტრე. მეც გამოვნასკვამ და დავასრულებ ჩემი ნინუცას თავიდან ფეხებამდე აწერას!

ლადო. მე კი ისლა დამრჩენია კვლავ „ვდოხნოვენიეში“ მოვიყვანო ჩემი სატრფო (უჩვენებს ბოთლზე). ჯლაბნეთ, ჯლაბნეთ მე ალარ დაგიშლით (კედის, კაქვს ბოთლი).

ი. ევდოშვილი.

(შემდეგი იქნება)

N-ს

იმედის სხივთა თაიგულო დაჩაგრულთათვის,
ჭეშმარიტების შეუპოვრათ მღალადებელო,
მედგრათ მკაფაო ეკლიან გზის ტანჯულთ სავლელათ,
მტრისა ლაგამო, სალო და კლდევ გაუტეხელო.

თუმცა ცხოვრებამ ზღვის უფსკრულში გადაგისროლა,
მკაცრათ შეგახო ულმობელი და ბილწი ხელი;
ძალმომრეობით, უსამართლო შურის ძიებით
სურდა სიცოცხლით დაგდუმოდა ენა მეტყველი.

მაგრამ შენ იქაც, აღშფოთებულ ზღვისა ტალღებში
მედგრათ მიცურავ და მიილტვი იმ ნეტარ მხარეს,
სად შეგიძლია მოიპოვო საზრდო სულისა
და შეუერთდე თავისუფალ მის არე-მარეს. |კალამს!

მშვიდობა შენს გზას, შენს იდეალს და შენს წრფელ
ასე მოგძახის შენი მოძმე დღეს მგლოვიარე.
თუმც მოგტირიან, მაგრამ რწმენა გულს არ შორდებათ,
რომ კვლავ გიხილავს შენი მოძმე და შენი მხარე!

დარია ხუნდაძისა.

ᲫᲘᲫᲐ

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

V

(გაგრძელება. იხ. „კვალი“ № 25)

ეტლი გაჩერდა ქალაქის განაპირას ვიწრო მოსახვევში ჭიშკართან. ისინი შევიდენ ეზოში და დარეკეს.

— ბატონი იყო და მიბრძანა მომეხსენებია, რომ სადილათ მობძანდება,—უთხრა ტასიას მოსამსახურე ქალმა, როცა გაუღო კარი და შევიდენ დერეფანში. დერეფნიდან ისინი შევიდენ ხალიჩებით და სავარძლებით მორთულ პატარა დარბაზში.

— ეს ჩემი სასტუმროა, ჯერ-ჯერობით სამი ოთახი მიჭირავს, აქეთ საწოლი და სასადილო ოთახებია. შენ წადი, გოგო,—უთხრა მან მოსამსახურეს მედიდურათ, ქრისტინეს ძალიან მოსწონდა ეს მისი დიდკაცური ქცევა,—ყავა მოგვიტანე. ახ, ეს ბატონმა მოიტანა?—მიათითა მან დივანის წინ დადგმულ რგვალ დიდ სტოლისაკენ, რომელზედაც კარტონის დიდი გრძელი ყუთი დაინახა.

— დიაღ, ბატონო!

— ასე იცის ყოველთვის, ხელ-ცარიელი არ მუა,—სთქვა მან გახარებული.—აბა ვნახოთ, რა არის შით?—და საჩქაროთ დაუწყო ყუთს ხსნა.—ვიშ, ვიშ, ვიშ, ნახე რა მარაოა!—რა მარაოა! რავაიც მინდოდა, ეაშალა მან დიდი წითელ ყვავილებიანი მარაო, რომელიც ისევ საჩქაროთ დაკეცა და ჩამოიკიდა წელზე.—ახ, ახ, ახ რა მშვენიერი ბრასლეტია ფირუზის თვალებიანი!—ამოიღო პატარა შავი ყუთიდან ბრასლეტი და დაუწყო თვალიერება.—აი შენი ქალბატონისანას ხუთს ჯობს. აბა აგი რაღაა?—გაშალა მან თხელ ქაღალდში შეხვეული აბრეშუმის ჩულქები, ეს არაფერი, არა ლამაზი კია, კაცმა თქვას. უყურე ამ ცისფერს ყვითელ ზოლებიანს, აგიც კაია ვარდის ფერი მწვანე წინწკლებით, ამასაც აგეთი უჭირს ლურჯს წითელი ყვავილებით. რამდენია? ერთი, ორი, სამი—ითვლიდა ის,—თორმეტი, ოჰო, ყოჩაღ, ჩემო ბელატო! ეს რაც დავაბარე არშიები... ახ, ნახე, ნახე...

ქრისტინე უყურებდა მის ბედნიერ, გაბრწყინვებულ თვალებს, უყურებდა, როგორ აწყობდა ის კოლოფიდან საჩუქრებს და შურის თვალით და პატივისცემით შეყურებდა მას.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, რა ტუფლებია, რა ტუფლებია, ახლავე ჩავიცვამ,—ტასია ჩამოჯდა იქვე სავარძელზე, გაიხადა ბაშმაკები და ჩაიცვა ტუფლები.—იფ-იფ-იფ, რა საცეკვავია, დაფ-დი-ფიტომ, დაფ-დი-ფიტომ, მღეროდა ის და ცეკვავდა ოთახში. ქრისტინე-ჯან, წამოდი ჩემ საწოლ ოთახს გიჩვენებ; დააჯინე ბალანაი აგერ ხალიჩაზე, ბისკვიტები მიეცი ხელში, ალარ იტირებს... გოგო, გოგო, მოდი, ბავში შეაქციე... ხედავ აი სარკეც, აი პირისაბანი, ყორიფელი, რასაც ხედავ, მან მომიტანა. ასე გაწყობილ სახლში მოვედი—უთხრა მან ქრისტინეს, როცა შევიდენ საწოლში და დაათვალიერეს ყველაფერი.

— რას უყურებ მაგ სურათს, მოგეწონა თუ?

— ვინაა აგი უბედური, უქმურს რომ გავს? აიღო ერთი სურათი და დააცქერდა ქრისტინე.

— ხა-ხა-ხა, ხა-ხა-ხა! ხარხარებდა ტასია,—მაგია ჩემი შვენიერი.

ქრისტინეს კინაღამ გაუვარდა ხელიდან სურათი. მას ვერ წარმოედგინა, რომ იმისთანა შვენიერი საჩუქრების მომტანს, ამისთანა მახინჯი სახე ქონებოდა და ამასთან ასე ბებერიც ყოფილიყო.

— კაცის მეტს ყორიფელს გავს, არა? ხა-ხა-ხა ხარხარებდა კიდევ ტასია. მაგიერში ჯიბე აქ შვენიერი.

ქრისტინეს ერთ წამს შეეზიზღა ტასიას საქციელი. ისე მხეცური და სასირცხვო ეჩვენა მისი სიტყვები, მაგრამ ამ დროს ტასიამ მომართა რაღაცა სარკის უკან და მშვენიერი მუსიკის ხმა მოისმა.

— არა, ჯვარს ხომ არ ვიწერ მაგაზე,—განაგრძო ტასიამ უდარდელათ,—და როცა გავთხოვდები, ლამაზ ბიჭს შევირთავ. ფულით, ჩემო დაო, ყორიფელს იზამს კაცი, თავადიშვილს წავყობი, ნახავ აგერ.

ქრისტინე ერთბაშათ გააოცა ამ უბრალო სიტყვებმა. „მართლა-და ჯვარს ხომ არ იწერს“—იფიქრა მან.

— კაი ცხოვრება კი გაქ და რა გენაღვლება, უთხრა მან.

— აბა, მეც მაგას არ ვჩივი, ახლა იმიზა უფრო მინდოდა შენი ნახვა. სოფლის ქალისთანა აბდალი, ხომ არ იქნება. გევიდეთ აგერ სასადილო ოთახში, დავლიოთ ყავა... აბა დაჯედი... ბალანას გოგო მოუარს. ჰო და იმას გიჩვენდი. ჩემ ბელატს საქმეები აქვს, აქანაი კი არ ცხოვრობს, სხვადასხვა ქვეყნებში იარება, ტფილისში ოჯახობა ყავს; ბაქოში, რუსეთშიაც საქმეები აქვს. მე მარტუაი ვრჩები აქანაი და მითხრა: „დედა ჩამეიყვანეო“. მეც რასაკვირველია, ვიფიქრე, სიკეთეს ეზამ დედას მეთქი. შინ ნახევარჯერ მჭადი არ აქვს საჭმელათ და დევიბარე. ქე ჩამევიდა მაშინათე. შამეიყვანე, ვაჭამე, ვასვი, მიეწონა ყორიფელი, უხაროდა გამდიდრებულხარო. ჩემი მშვენიერი არ იყო შინ. წევედით ქალაქში: კაბა ვუყიდე, ფეხსაცმელები, დარაია, ერთი სიტყვით ყორიფელით გამოვაწყვე. სადილობამდე ქე ვიყავით მხიარულათ: მეფერებოდა, მკოცნიდა. სადილათ მოვიდა შინ ჩემი ბელატი. აქ ყველაფერს მიხვდა დედა ჩემი. წამუარდა, დეიწყო ტირილი, ყვირილი, მოთქმა, ვეღარაფრით ვერ დავაჩუმე. შამეიგლიჯა ტანზე ახალ ნაყიდი ტანისამოსი, ჩეიცვა ისევე მისი კონკები და წევიდა შინ. გუშინ ერთი იქოური კაცი ვნახე და მითხრა: შავი ჩუუცვამს, ტასიეი მომიკტაო და დღეი და ღამე ტირის

თურმე.—მან გაიღიმა რაღაც საცოდავის ღიმილით და დახარა თავი ძირს, მაგრამ სახე უცებ გაუნათლდა.—უყურე, უყურე რა ლამაზი ფირუზის თვალები აქვს ამ ახალ ბრასლეტს, აი ერთი რა დიდია შვაზე.—აჩვენა მან ქრისტინეს.—ახლა მის სიბრიყვეს უყურე შენ,—განაგრძო მან უფრო მხიარულათ დაცინვის კილოთი:—შინ მჭადი არ აქ საყოფათ, სიმშილით კუჭი ეწვის და აქანაი ბატონური ცხოვრების რცხვენია. ასე მითხრა: „შენ თავი მომჭარი, ჩემი სიბერე შეარცხვინეო“—გაიცინა მან მხიარულათ.—არა, შინ მისდღემჩი ფეხშიშველა უნდა მერბინა, იგი არ იყო სირცხვილი და აგი ამდენი ოქრო-ვერცხლი რომ მაქ, აგი სირცხვილია!

ქრისტინემ ცოცხლათ წარმოიდგინა ტასიას მაღალი, გამხდარი, ჭაღარა თმიანი დედა შავებში დღით და ღამით მტირალი, შეეცოდა ის და ერთ წამს თანაგრძნობით გაევსო გული, მაგრამ ამისთანა „სოფლური უშეცრებისათვის“ მაშინვე შერცხვა და თქვა:

— რა ქნას, სოფლის ადამიანი ასეა ყველაი, თვარა კი არ უნდა ტიროდეს, უხაროდეს უნდა, ასე დიდკაცურათ რომ ცხოვრობ.

— გამოჩერჩეტებულია უბედური!

ამ დროს გარეთ გაისმა გრგვინვა, საშინლათ მოიღრუბლა და გაზაფხულის სხვილმა წვიმამ მხიარულათ მოაშხაპუნა ფანჯრებზე.

— ვიშ რა წვიმაა!—თქვა ტასიამ, წამოხტა, სიცილით გაიქცა ფანჯრისკენ და გაიხედა გარეთ.—ქრისტინე, მოდი, ნახე, რა ლამაზი ყვავილები გვექნება ეზოში.

ქრისტინემ გადაიხედა და რა შეხედა წვიმისაგან აკრიალებულ მწვანე ფურცლებს, მან უცებ ისეთი სიხარული იგრძნო უმიზეზოთ, რომ მასაც, როგორც წელან ტასიას, ცეკვა მოუნდა.

— ახ, ტასია, დუუკარი ერთი მუზიკა, ვიმღერ-ოთ, ვიცეკვოთ,—თქვა მან.

— ეჰ, რავა დამავიწყდა,—წაავლო ტასიამ ხელი ქრისტინეს და სირბილით გაიყვანა სასტუმრო ოთახში.—ახლავე მონაპანს დაუკრავ.—და დაიწყო კუთხეში მრგვალ სტოლზე დადგმული შავი ყუთის ტარის ღრიალი.—ეს ვალსია.—თქვა მან.—ლეკური გინდა? აჰა ლეკური, იცეკვე აბა.

ქრისტინემ დაიწყო ლეკურის ცეკვა, მაგრამ ფეხები ვერ შეაყოლა მუსიკის ტაქტს.

— არა, მაი მონაპანია თუ რაცხა, არ ვარგა. ისევ ჰარმონიკა ჯობს, ან დაირა. იცი, მე ქალბატონმა გიტარის ყიდვა დამპირდა.

ტასიამ ჩამოიღო კედლიდან გიტარა და დაიწყო დაკვრა და სიმღერა. აღტაცებული ქრისტინეც მღეროდა, იცინოდა, ცეკვობდა.

— იცი, რა გითხრა, ქრისტინე, ხვალ დილას ჩემი მშვენიერი წასვლას აპირობს დი მოდი საღამოზე, სანდროიასაც დავუძახოთ, იმ ნოქარსაც,—კოხტაიეც მოვა და დროი გავატაროთ, უთხრა ქრისტინეს ტასიამ.

— აჰ, ჩემო ტასიავ,—მოხვია ქრისტინემ ხელი და აკოცა შუბლზე. აბა რა ატირებს უბედურ დედაშენს. მუალ ხვალ, მუალ უეჭველათ.—სიხარულით გააქნია მან თავი.

— თუ გინდა, ფეოდოსიასაც უთხრათ.

— კი, კი, კაია, იცი, იგი თხოვდება, მისი ბატონის შვილი ირთავს.

— ატყუებს და მას მართალი ჰგონია, მარა ლამაზია და ყოველთვის მუაწყობს თავის საქმეს.

ცა ისევ მოიწმინდა და ფანჯრებში ბრწყინვალე მზემ შემოაშუქა.

— აწი კია შინ წასვლის დროი.—თქვა ქრისტინემ.—ვაიმე ბაღანაი სადღაა?

— გოგოს ეყოლება სამზარეულოში. გოგო, გოგო, ბავში მოიყვანე!—გასძახა ტასიამ.

გოგომ შამოიყვანა შავათ მოთხუპნილი ბავში. ტასიამ და ქრისტინემ ორივემ გადაიხარხარეს მის დანახვაზე, იცინოდა ბავშიც. ქრისტინემ დაბანა მას პირი და წავიდა შინ. ის მიდიოდა შინისკენ და გზაში ნელ-ნელა იღიმებოდა. ხვალ, ხვალ რა დროს გაატარებს! რამდენი ხანია არ უნახავს სანდროიეი. „რაფერ დავტიო ბაღანაი, ვაი თუ არ გამიშვან, არა მზარეულს შევეხვეწები და მომიცდის“ ფიქრობდა ის.

დარი უცებ ისევ შეიცვალა, მოიღრუბლა და შხაპუნა წვიმამ დაასხა. ქრისტინემ დაუძახა ეტლს, ჩაჯდა შიგ და მივიდა შინ.

— შენი ქმარი ჩამოვიდა,—უთხრა მზარეულმა ქალმა ქრისტინეს, როცა მან დაიძინა ბავშვი და სამზარეულოში გამოვიდა. ქრისტინე ისე იყო თავის აზრებში გართული, რომ ერთბაშად ვერც კი მიხვდა „ვინ ქმარი, რა ქმარი, საიდგან მოვიდა“—ფიქრობდა ის—„ვთხოვ, რომ ბაღანასან მომიცადოს ხვალ“, მაგრამ გაიგო, რომ ჩამოვიდა კოწია.

— რავაც წადი, მაშინვე მოვიდა, გიცადა ერთხანს, მერე ბულვარში წამოვიდა, მე ვუთხარი იქ იქნება მეთქი. აი ქე მევიდა აგერ თვითანაც.

ქრისტინემ მიიხედა ეზოში და დაინახა სრულიად დასველებული, ტალახიანი, გამხდარი რაღაცა უბედურის სახით მომავალი კოწია. მას სიძულვილით და ზიზღით აევსო გული. „აი გლახა რას მევიდოდა ახლა, ვერ დიეტია შინ“? იფიქრა მან. მოდიოდა კოწია თავჩაღუნული. როცა მაღლა ამოვიდა და ქრისტინე დაინახა, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, მაგრამ მაშინვე დამნაშავესავით დახარა ძირს თავი.

— არა, ვერ მომიცადე აქანაი, საძებრათ რათ წამოდი?—უთხრა ქრისტინემ მას მკვახეთ.

— კაი ხანს გიცადე და აწე ქე უნდა წევიდე შინ, პაწაი დროი დამრჩება მეთქი, ვიფიქრე. ვითამ მალე გნახავდი, მეგონა.—დანაშაულის ხმით მიუგო კოწიამ.

— წამოდი აქეთ.—წაიყვანა ქრისტინემ ტასიას ოთახში, რომელიც ცარიელი იყო ახლა. კოწია იჯდა თავჩაღუნული და ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მან ამოიღო ჯიბიდან წითელი თეთრ კიდებიანი ცხვირსახოცი, გადაისვა შუბლზე და მოიწმინდა პირი. მერმე ჩაიდვა ჯიბეში, მაგრამ საჩქაროთ ისევ ამოიღო. ქრისტინე უწინდებურის ზიზღითა და დაცინვით შესცქეროდა მას. კოწიამ კიდევ გადაისვა ცხვირსახოცი შუბლზე და პირის მოწმენდას აპირობდა, რომ ცხვირსახოცი ხელიდან გაუვარდა და საშინელის გულამოსკვნილის სლოკინით ატირდა. ცრემლები ღაპა ღუპით წამოსქდა ოვალებიდან, გადმოედინა ლოყაზე, წვერზე, გულზე, ჩოხაზე, მისი გამხდარი, მოხრილი მხრები თრთოდენ და გაყვითლებულ სახეზე უიმედო მწუხარება ეხატებოდა.

ქრისტინე ამის დანახვაზე ერთბაშათ წამოვარდა, მიაშურა ქმარს და სავსე მწუხარების და თანაგრძნობის ხმით შესძახა:

— რა იყო კოწია, შენი ჭირიმე, რა დაგემართა?—მაგრამ აქ ის უცებ დაცხრა, თვალებმა რაღაც ცივის შუქით გაუელვეს. ის რაღასაც მიხედა, მაგრამ თითქო რიღასიც შეეშინდაო, ოდნავ ბაგეების ნძრევით გაუბედავათ წარმოსთქვა:

— ბაღანაი...

— მოკტა, მოკტა ჩვენი მაროიე—ამოიღუღღუღა კვნესით კოწიამ და კიდევ უფრო დაღუნა თავი და ატირდა.

ქრისტინე უცებ აენთო. გაუბედავობა და შიში ერთ წამს ბოროტებათ გადაიქცა მის გულში. მან გაბოროტებით

შეხედა ქმარს და ცივათ, ბოროტათ მიახალა.

— თქვენ ხართ ყორიფელის მიზეზი, მოკალით ბალანაი. ჩემი მაროიე, მე რომ წამოვედი, მაშინ მოკტა... ასე გეკადრება შენ... მისდა ასე ჯობს... მაგრამ აქ მოაგონდა, როგორ სწოვდა „ბალანაი“ უკანასკნელათ მის ძუძუს, რა სიყვარულით შეყურებდა მას „დედას“, რა ნაირათ უცაცუნებდა პაწაწკინა ხელებს გულზე და კისერში და საშინელის სისწრაფით ისევ გაილვიძა მის გულში შვილის სიყვარულმა. მან იგრძნო, რომ იმ გრძნობას, იმ ბედნიერებას, რასაც მაშინ გრძნობდა, თავის დღეში ველარ გამოსცდის. „მაროიე აღარაა, მაროიე შავ მიწაშია“, გაიფიქრა მან და ბოროტება, შურის ძიების სურვილი გაუქრა მას გულში. სახეზე დარდი და სიყვარული გამოესახა და თვალებიდან მდულარე მსხვილი ცრემლები გადმოსკდა.

— ახ, რეიზა, რეიზა არ მაჩვენეთ სიკვდილის ხანს, მისდღემჩი ველარ ვნახავ ჩემ პაწიწკალა გოგოს, მე უბედური.— გულ ამოსკვნით კვნესოდა და ტიროდა ის, მაგრამ თითქო რაღაც მოაგონდაო, საჩქაროთ წამოიჭრა და გაიქცა ოთახისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ახალ გამოღვიძებული მხიარული ბავშვით ხელში. მან ჩაიხუტა ის გულში და ბავშვის ალერსიან ხელების ფათურზე ოდნავ გაუღიმა მას.

კოწია რაღაც გამოურკვეველის შიშისაგან გაფართოებულის თვალებით დააცქერდა ცოლის თითქმის სრულიათ დამშვიდებულ სახეს. ის მიხვდა, რომ მის ცოლს ქმარშვილს და ოჯახს გარდა სხვა იმედები და სხვა სიხარული ქონდა, სხვა სიყვარულს პოვებდა სხვაგან, რომ ის ადვილათ აიტანდა ამ მოულოდნელ უბედურებას. საშინლათ შეეშინდა იმისი, რომ ქრისტინე აღარ დაუბრუნდება მას და სასოწარკვეთილებით და ვედრებით შესტირა ცოლს.

— არ დამღუპო, ქრისტინე, არ დამღუპო.

ქრისტინემ გაკვირვებული სიბრალულით შეხედა ქმარს. ის ვერ მიხვდა მის სულიერ შიშს და ინსტიქტიურის სიბრალულით მიუახლოვდა ქმარს და უფრო იმისთვის, რომ დაემშვიდებია ის, უთხრა:

— ნუ გეშინია, კოწია, ყორიფელი ღვთის ნებაა. მან არ იცოდა, რა ეთქვა კიდევ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა.— დმერთი მოწყალეა, ეგება კიდევ გვეყოლოს შვილი.

კოწიამ გააღო პირი რილასიც სათქმელათ, მაგრამ აღარაფერი თქვა და დაღონებულმა ისევ დახარა თავი ძირს.

(შემდეგი იქნება).

ნინო ნაკიშიძისა.

ბ-ნი პლებსი და ეროვნული კითხვა.

(დაგვიანებული პასუხი)

ბ-ნ პლებსს მასლაათი ძლიერი უყვარს. განსაკუთრებული სიამოვნებით მასლაათობს ხოლმე იგი მამებზე და შვილებზე, ეროვნულ კითხვებზე და სხვა. აქ მას თავი ავტორიტეტათ მოაქვს და თავმოწონებით გვასწავლის ქეშმარიტებას. ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს მისი „მასლაათი“. (იხ. «ივერია» № 91). მაშ ყურადვიღოთ და ვისწავლოთ სიმართლენი ბ. პლებსისა.

შინაარსი ბ. პლებსის „მასლაათისა“ დაახლოვებით ასეთია: ქართველი ახალგაზდობა სასოწარკვეთილია; იგი სავსებით პესსიმისტობას მოუცავს და უიმედო გამხდარა; მის გულში აღარ ღვივის ცეცხლი, მას აღარ იტაცებს იდეალი; გადაგვარების გზას დადგომია იგი და არარაობათ ქცეულა. მიზეზი ასეთი სამწუხარო მოვლენისა ის გახლავთ, რომ ახალგაზდობას ეროვნული გზა-კვალი დაუკარგავს. მსგავსათ წყალწაღებულისა, იგი ერთგვარ დროშას ჩაბღუჯებია; ამ დროშას ზემოთ „კოსმოპოლიტიზმი“ აწერია, ქვემოო harribile dictu. «მარქსიზმი» ანუ „კუჭიზმი“. ერთი სიტყვით ახლანდელი ახალგაზდობის მოძღვრება „კუჭიზმია“, მისი კერპი-კუჭის ღმერთი და მისი მოღვაწეობა—კუჭზე ტირილი და ვაება.

ახლა იხილეთ თვით ბ-ნი პლებსი. იგი მამათა შორის დგას ამაყათ და შეუპოვრათ, ხელთ უპყრია დროშა, შეიარაღებულია ეროვნული მუზარადით და ჩაჩქნით და იბრძვის ვითა ლომი გაშმაგებული; მას ნათლათ აქვს წარმოდგენილი თვისი ქვეყნის წარსული აწმყო და მომავალი; კუჭისაგან დიდი ხანია „იჯმნ.» და აი სწორეთ აქ არი კიდეც წყარო ულეველი მისი და მის მსგავსთა ძლევა მოსილებისა და სიდიადისა.

აი შედარება, დახასიათება, განმარტება და დასკვნა. დამეთანხმებით, რომ ყოველივე ეს შეუდარებელია, მაგრამ... მაგრამ ისა, რომ ბ. პლებსმა, მიუხედავათ თვისი „უზენაესობისა და თავისებურობისა“ თვისი პუბლიცისტური ისარი ჰაერს სტყორცნა და ერთხელ კიდევ თვალსაჩინოთ დაგვანახვა, რომ ის ძველ ლათაიებს იმეორებს, თუმცა ღარწმუნებულია, რომ უახლეს და უმეშმარიტეს მოძღვრებას ქადაგებს.

ერი, ეროვნების პრინციპი, ეროვნული იდეალი, ეროვნული თავისებურობა, ტურფა სამშობლო და სხვა ამგვარი მაღალი მატერიები კარგა ხანია ყველას ენაზე აკერია. ავიც და კარგიც, ვაჭარიც და აზნაურიც ყველა ამას გაიძახის; დიდი ხანია ვიცით აგრეთვე, რომ აზრი ამ სიტყვებისა, ამ პრინციპებისა და იდეალისა ყველას თავის წრის, ინტერესის, წოდების და პროფესიის თანხმათ ესმის. მართლაც, აი აგერ თუნდ ენამრავალი, ტკბილმოუბარი ქართველი ვექილი. აბა ერთი გამოელაპარაკეთ მას და დაინახავთ, რომ თქვენი პლებსი მასთან ფას. ჰო და სწორეთ ამიტომაცაა, რომ ქართველი ვექილები ასე უანგაროთ და თავდადებით იბრძვიან, რათა ჩვენში მართლმსაჯულება აღადგინონ და სიმართლე დაიცვან, ნამეტურ როცა საქმე მათ უმცროს მოძმეებს შეეხებათ. მოგეხსენებათ, რომ ამას წინეთ ქ. ბათუმში პროცესი იყო, რომელშიაც მონაწილეობა სულ ორმა ქართველმა მიიღო; დანარჩენები კი უცხო ტომის იყვენ. ერთი სიტყვით, როცა სიტყვა საკმარისი აღარ დარჩა და საქმე საქმეზე მიდგა, ჩვენი ვექილების კორპორაცია ისე მოიქცა, თითქო კითხვა ზულიუსებს ეხებოდა და არა მათ სატრფიალო საქართველოს შვილებს. მიზეზი ასეთ მამულისშვილობისა ცხადზე უცხადესია: ერთი—რომ აქ სახრავი არა იყო-რა, მეორე—მოსალოდნელი იყო, რომ კეთილსაიმედო სახელი საფრთხეში მოყვებოდა და შეილახებოდა. ახლა როგორ გგონიათ, პასუხისგებაში მიცემულნი რომ თუნდ გადამთიელნი, მაგრამ სქელჯიბიანები ყოფილიყვენ, ასევე მოიქცეოდენ ჩვენი ნაფიცი ვექილები? არ ვფიქრობთ. აი კიდევ აგერ ქართველი ეპოლეტოსანი! აბა ყური დაუგდეთ, როგორის აღფრთოვანებით და გატაცებით ლაპარაკობს იგი; თუ არ იცნობთ, ვინც ბრძანდება, ნამდვილი ზაქარია მხარგძელი გეგონებათ; მაგრამ, როცა საქმე დისციპლინაზე და ქერქის ინტერესზე მიდგება, უჩქარე თავს უშველო, თორემ ეროვნული გზაც ოხრათ დაგრჩება და კვალიც. განმარტება მაგალითებით მეტათ მიგვაჩნია. ქართველი წვრილფეხა (მსხვილ ფეხაები ხომ ჩვენ არ გვყვანან) ბიუროკრატი? სანამ ბიუროკრიტიული კიბის ქვედა საფეხურზე ზის, კიდევ ჰო, არა უშავს-რა: კანტი-კუნტათ, ჩუმათ, ისე რომ ყური არვინ მოკრას, უკმაყოფილებასაც აცხადებს და მუშტიც ჯიბით დააქვს, მაგრამ ერთი ნაბიჯი ზემოთკენ და მშვიდობით: აქ მას სამარცხვინოთ მიაჩნია ქართველობა და როცა საჭიროება მოითხოვს, თავს გუნნების შთამომავალათაც კი აღიარებს. ახლა იხილეთ ჩვენებური აზნაური. ისმინეთ და დასტკბით, რა გულწრფელათ გაჰკივის იგი: „და გა-

უმარჯოს ჩვენ საქაროველოს". და თანაც რა მადიანათ შეექცევა იგი ბატკანს, რომელიც მეზობელ გლეხისათვის საძოვრის ფასში წაურთმევია! პრივილეგიას მოკლებული გავაჭრებული თავადი? ეს ხომ პირველზე უპირველესი მოტრფიალეა ქართველობისა და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ქართველისაგანვე მეტ პროცენტს ღებულობს, ვინემ სხვისგან, ქართველს უფრო ძმურათ გაუვლეფს, ვინემ ფულის მქონელ კარაპეტას ან თვალთმაქც მოშას. სარწმუნოებაო, გვასწავლიან, ის ობოლი მარგალიტია, რომელიც ქართველებმა საკაცობრიო კულტურის სალაროსთვის სისხლით დაიცვეს და დაიფარესო. ხო და განა კი ცოტანი გვყვანან თავდადებულნი მებრძოლნი სარწმუნოების თავისუფლებისთვის?

ამას წინეთ ერთ დუქანზე შემდეგი წარწერა ამოვიკითხე:

„ვა სოფელო რასშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს ამ დუქანში შემომსვლელსა".

უეჭველია ამ დუქნის პატრონიც ეროვნული იდეალით იყო აღფრთოვანებული და თაყვანს სცემდა ქართველი ერის შემოქმედობითი ნიჭის ნაყოფს „ვეფხის ტყაოსანს".

გერმანელ აგრარიებს რომ კითხოთ, საუკეთესო დამცველნი ეროვნული ინტერესებისა იგინი არიან, სხვები კი მხოლოთ მონაგონნი. რით ამტკიცებენ ამას ეს მამულისშვილები? მით, რომ ყოველ ღონეს ხმარობენ პურის ბაჟი ასწიონ, ესე იგი, გერმანელი გლეხი და მუშა ულუკმაპუროთ დასტოვონ. როცა ხალხის ინტერესების დამცველნი, იგივე „კუჭისტები" აგრარიების ასეთნაირ მამულიშვილობას კიცხავენ, აგრარიები ირონიულათ გაიძახიან: როგორ არა გრცხვენიათ: ეროვნული იდეალებისგან იჯმნილხართ და კუჭს დასტირითო. პლებსი რომ გერმანელი ყოფილიყო, უეჭველია აგრარიების მეთაური იქნებოდა და სამართლიანათაც. აი იგივე აგრარიები ეროვნული განდიდების სახელით ფეხით სთელავენ პოლონელების „თავისებურების" და დაუმოკლებლობისადმი მისწრაფებას. საფრანგეთის კლერიკალებს ხომ ბადალი არა ყავთ. მათის აზრით მხოლოდ იგინი ქმნიან საფრანგეთის ერის ერთობას, თავს მსხვერპლათ სწირავენ თვისი ერის აღმაფრენის საკურთხეველზე. იგინი ასაზრდოებენ ხალხს სულიერათ, მათის მეოხებით იფურჩქნება და ჰყვავის ფრანგთა ეროვნული შემოქმედობითი ნიჭი და სწორეთ ამიტომაცაა, რომ მათი მოწინააღმდეგე რესპუბლიკანური და დემოკრატიული დასები მოღალატეთა სიაში არიან მოქცეულნი. ასე რომ ბ. პლებსს კლერიკალების მეთაურათაც არა უშავდა-რა. ინგლისელმა ჯინგომ იმავ ეროვნული მიზნით ბურებს ეროვნული სული ამოხადა. ახლა აწიოკებისაგან გამწარებული ბურები კუჭსაც დასტირიან და სულსაც, ჯინგო კი, როგორც ნამდვილი მოციქული ინგლისის ერისა, მამაშვილურ დარიგებას აძლევს ბურებს: მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი, რაც შეეხება კუჭს, ამაზე ლაპარაკი თქვენისთანა დარბაისელ ხალხს არც კი ეკადრებაო. შემთხვევას რომ მოეტანა, არ ვიცით ვის როლს ითამაშებდა ბ. პლებსი: დეეტისას თუ ჩემბერლენისას? კიდევ ერთი მაგალითი: ერთი მუჭა მადიარები დღეს მოწადინებულნი არიან ხორვატელები მათვე მამულში შთანთქან ისე, რომ მათი ხსენებაც აღარ დარჩეს. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს მადიარები ეროვნული გმირის კოშუტის შთამომავალნი და მადიდებელნი არიან და მუზარადჩაჩქნით შეიარაღებულნი ვენგრიის დამოუკიდებლობისათვის დიალ სახელოვნათ იბრძვიან. გრინგმუტ-ველიჩკო-მეშჩერსკები რომ ეროვნების მოტრფიალენი არიან, ამაზე ბ. პლებსიც დაგვითანხმება.

ერთი სიტყვით ყოველივე ის, რასაც თქვენ გვასწავლით, ბ. პლებსო, არ ახალია ძველია. უთქვენოთაც გაგვიგია, რომ ეროვნული კითხვა უქმი ფანტაზიის ნაყოფი არ გახლავს, ვიცით, რომ თანამედროვე ეროვნება პირველში ახალი ისტორიისა, ახალი ეკონომიური ᲦᲔ სოციალურ-პოლიტიკური პირობების და ურთიერთობისა! პირველი სიტყვა, რომელიც გამოთქვა ახლათ ფეხადგმულმა მესამე წოდებამ ანუ ბურჟუაზიამ-«ნაცია», ერი იყო, ბევრი ობოლი მარგალიტი მოიხვეჭა ამ საკვირველ-მოქმედმა წოდებამ, უკეთ რომ ვსთქვათ, კლასმა, ეროვნულ ნიადაგზე. როცა თვალსაჩინო შეიქნა, რომ ეროვნული პრინციპები ძალზე ხელსაყრელნი არიან, დაჩაჩანაკებული აზნაურობა და თვინიერი სამღვდელოება შურით აივსო და ორივემ ღრიალი მორთო: ჩვენ ვართ ნამდვილი მამულისშვილნი, ჩარტო ჩვენ გვრწამს ეროვნული იდეალი, არ დაუჯეროთ ბურჟუაზიასო მაგ გამოხტენას მაგასაო; მაგას თავის ჯიბისა და კუჭის მეტი არა რწამს-რაო; მაგრამ გვიანღა იყო: ცხოვრებამ ბურჟუაზიას არგუნა ეროვნული პრინციპები სახრავათაც და სადიდებლათაც. ამოიდგა თუ არა ენა ბურჟუაზიამ, ერთი აურ-ზაური ასტეხა: ერი, თავისუფლება, ძმობა ერთობა, სოლიდარობა, პროგრესი, ჩაგრულთათვის ბრძოლა, სიმართლე, პრივილეგიების უარყოფა, ყოველივე ეს ჩემი კუთვნილებაა და აქ ნურავინ მეცილებაო. და არც სულ ტყუილათ ბაქი-ბუქობდა იმ ნეტარ დროს ბურჟუაზია, არც სულ ოინბაზობა იყო მისი ასეთი საქციელი; მან მართლაც ბევრი რამ კარგი განახორციელა ცხოვრებაში. არა ერთი ბორკილი შემუსრა და დაამსხვრია, მაგრამ შესანიშნავი აქ ის არის, რომ თითქმის არც ერთჯერ მას ცეცხლში საკუთარი ხელი არ ჩაუკრავს, არც ერთი ძირი ნარ-ეკალი არ ამოუგლეჯია; ცხოვრების ახალი გზა მან სხვისი ხელით გაკაფა და გამარჯობა სხვისი წყალობით დაირჩინა. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, დრონი მეფობენ და არა მეფენი და ბატონობა სამუდამოთ არავის შერჩენია. განვლო დრომ და ბურჟუაზიის ბატონობასაც ჩრჩილი შეეპარა და ღრღნა დაუწყო. მისი გაუმაძღრობა ყოველ საზღვარს გადავიდა, მის მაღალ პრინციპებს, განსაკუთრებით ეროვნულს, შინაარსი დაუობდა, დაუძველდა, საქმენი მისნი სიტყვის გან „იჯმნენ" გულწრფელობა მისი განქარდა, რამეთუ იგი პარაზიტათ იქცა. ხომ იცით, რომ ყოველ პარაზიტს პატრონი ყავს. უამპატრონოთ მას სიცოცხლე არ შეუძლია, რადგან იგი პატრონის ხარჯზე ცხოვრობს, დროთა განმავლობაში ბურჟუაზიის პარიზიტობამ მისი პატრონი მეტათ დაასუსტა, დაბეჩავა, საზრდო საბადებელზე ხელი ააღებინა, სულიც და კუჭიც გაუმწარა და იძულებულ-ყო რომელიმე ზომა-ხერხისთვის მიემართნა. გამწარებული პატრონი აქეთ ეცა, იქით ეცა, ბევრი იდავიდარაბა და ბოლოს, დახეთ სულის სიმდაბლეს, „კუჭიზმს" («მარქსიზმს») მიმართა. ახლა ყველამ იცის, თუ რა მოყვა ასეთ სულის სიმდაბლეს; იცის, რომ კუჭიზმის მოძღვრება მთელ განათლებულ კაცობრიობას მოედო, და ლამის არის კუჭის კითხვამ ძირიანათ შესცვალოს თანამედროვე ცხოვრება თავის უსამართლობით, ძალმომრეობით და ათასგვარ სხვა საძაგლობით; ვიცით, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლა საფუძვლათ დაედო ყოველგვარ პროგრესიულ მოძრაობას და სწორეთ ამ ბრძოლამ შთაბერა ახალი ცხოველ-მყოფელი შინაარსი ერთ დროს ბურჟუაზიისაგან აღიარებულ ერთობის, ძმობის და თავისუფლების პრინციპებს; ვიცით, რომ ამ მოძრაობის მეთაურნი საუკეთესო დამცველნი არიან დამოუკიდებლობის, სოლიდარობის, სიტყვის, მოქმედების და სინდისის თავისუფლების, საყოველთაო სწავლა-განათლების, სამშობლოენის დაცვის, პიროვნების ყოველ მხრივ განვითარების, უფლებებს მოკლებულთა ემანსიპაციის, განურჩევლათ სქესისა,

ეროვნებისა და სარწმუნოებისა. იგინი ბედვენ დღეს ხმა აღამაღლონ იქ, სადაც სხვანი მხდლურათ და ჩაჩანაკურათ ზოგი მოწყალებას თხოულობს, ზოგი სიბრალულს, ზოგი ორპირობს და ფარისევლობს, ზოგი გულში იკლავს სურვილებს, ზოგი უკან იცქირება და წარსულზე ოცნებაში პოულობს სულის სიმშვიდეს, ზოგი შიშისაგან თავზარ დაცემული მეგობრულათ ხელს უწვდის ერთ დროს მის მოსისხლე მტერს, რომ დღევანდელი დღე მაინც მშვიდობიანათ გაატაროს, რადგან ძლიერ კარგათ ხედავს, რომ მომავალი მას აღარ ეკუთვნის. (ამგვარი აბრუნდის მაგალითს დღევანდელი ბურჟუაზიის ცხოვრება წარმოადგენს). იცის ან უნდა იცოდეს, ყოველივე ეს ბ. პლებსმაც, მაგრამ მაინც კაჭკაჭივით გაიძახის: კუჭია მაგისთანაების კერპი, კუჭის მონანი არიან ეგენი, შორსშორს მაგათგან, ან და ჯვარს აცვით ეგენი, ვითარცა მოღა, ლატენი, წარსულზე ხელ-აღებულნი, მტერთა მოკავშირენი, და სხვა. გულზე ხელი დაიდევით და თქვით, რა სახელი უნდა ვუწოდეთ ამის შემდეგ ბ. პლებსს, რა ჯურის და კატეგორიის კაცთა შორის უნდა შევრაცხოთ იგი? მაგრამ მართლა, ბ. პლებსს ამისთანა შემთხვევაში ერთი საუცხოო საბუთი აქვს ხოლმე იმის დასამტკიცებლათ, რომ მისი ბაგით თვით ჭეშმარიტება ღაღადებს. მისი აზრით, ჩვენი ქვეყანა ევროპა-ამერიკა როდია და რაც იქ მომხდარა და მოხდება, ჩვენთვის, ქართველთათვის, არც სავალდებულოა და არც ხელსაყრელი.

უეჭველია, ბ. პლებსს თავის თავიც და ქართველებიც მარსზე გონია. რაკი ასეა, დაე იოცნებოს ბ. პლებსმა, რადგან მას მეტი აღარა დარჩენია-რა. ჩვენ მოწმენი ვართ და დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბ. პლებსს მთელი ქართველი ინტელიგენცია ბანს ეუბნებოდა: ჩვენ ჩვენებურათ, თავისებურათ, ქართველურათ უნდა მოვაწყოთ საქმენი ჩვენი, სხვა გზით გავსწიოთ მერმისისაკენ, სხვა ზომებს მივმართოთ, სხვა ღონე ვიღონოთ; სად დასიზმი, სად ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგობა, სად კლასთა ბრძოლა და სად ქართველობაო. ბედნიერათ უნდა ვხადდეთ თავს, რომ ამ გვარ ბოროტებას უფალმა გვაშორაო, გალობდა ხორო ქართველი ინტელიგენციისა. ახლა ამ ხოროს ოდნავ არის, თუმცა დიდის შიშითა და კრძალვით კი, თითქო ხვალ საბრჩობელაზე ასვლა მოელოდეს, შესცვალა ძილის პირის კილო და მხოლოთ ბ. პლებსი და მისნი მსგავსნი დღემდის იმავ ძველ საგალობელს უგალობენ ჩვენს საზოგადოებას. რაც შეეხება კუჭისტებს, ისინი კარგა ხანია მიხვედრილი არიან, რომ ქართველებს ახალი ცხოვრების ძლიერმა ტალღებმა შემოკრეს და წარმოუდგენელი სისწრაფით გააქანეს საერთო მერმისისაკენ, სწორეთ იმავ გზით, რა გზითაც სხვანი მრავალნი მიექანებიან. ახლა როგორ ფიქრობთ ბ. პლებსო, ვინ უნდა იქნეს ქართველების ბელადი ამ ახალ გზაზე? თავად-აზნაურობა! კი მაგრამ, სად, რომელ ქვეყანაში, რომელ ერში და საზოგადოებაში მეთაურობს იგი ჩვენ დროში? სად უკავია მას დროშა თავისუფლების, ერთობის და ძმობის? ან სადაა ეს თავად-აზნაურობა? მის ადგილს ახალმა ცხოვრებამ ჩვენში, როგორც სხვაგან ბურჟუაზია წამოაყენა. ჩვენი ბურჟუაზია იმდენათ წვრილფეხა და სუსტია, რომ იგი ვერასოდეს იმ როლს ვერ ითამაშებს, რომელიც ხვდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას. ასეც რომ არ იყოს და ჩვენი ბურჟუაზია დიდი ავლადიდების პატრონიც იყოს, მაინც იგი ბელადათ არ გამოვა, რადგან ბელადობის როლი მან დიდი ხანია უკუაგდო. გლეხობა, რამდენათაც იგი ეკონომიურათ ძლიერდება, იმდენათ მომხრე ხდება ისეთი ავან-ჩავანისა, რომელიც ჩვენ ხელს არ მოგვცემს. ჩვენ რასაკვირველია, უარს არ ვყობთ, რომ არიან მომენტები და გარემოებანი საზოგადოების ცხოვრებაში, როცა თითეული კლასი და წოდება კერძოთ და ყველა ერთათ იძულებულია ხმა აღამაღლოს გაბატონებულ უსამართლობის წინააღმდეგ. მაგრამ ტო კუჭისტებზე-ღა დამდგარა საქმეო, იკითხავთ-ალბათ ბ. ბ. ბ.

კრატიული დაწესებულებაა «დროების» რედაქციასთან შედარებით. 14 წლის განმავლობაში განსვენებული ს. მესხი თითქმის თავაუდებლივ იჯდა სარედაქციო სტოლთან, შედამ რადცას სწერდა, სწხრეკდა, შედამ რადცას ასწორებდა, ან ასოთ-ამწყობთა ტუვიის და რკინის შტვრით მოწამლულ ჰაერში დატრიალდებდა. ასე გამუდმებული მარტო მექანიკური შრომაც დადალავს ადამიანს და უდრეკოთ გამოასალმებს ამ სოფელს. მაგრამ ს. მესხი მარტო მექანიკურათ არ მუშაობდა, არ სწერდა მარტო მელნით, არ სწერდა მარტო ასოებს და სიტყვებს. მის მიერ ოთვედ დაწერილ სიტყვაში ცოცხალი სული იყო ჩაბერილი, სავსე იყო ჩაფოდებული, რადესაც ასწორებდა, ცდილობდა შეტი სიცოცხლე, შეტი მოძრაობა და სიმართლე მიეცა ფრაზებისათვის. ხშირათ მოხდებოდა, რომ ცენზორი სულსა და გულს გამოაცლიდა ნაწერს, სერგეი დიდხანს ჩაუჯდებოდა მაშინ გაზეთის ფურცელს და თიქრობდა, როგორმე გამოაცოცხლებინა წერილი და წერტილების დასმით მაინც ემცნო მკითხველისათვის თავისი ტკივილი და დარდები...

„1883 წლის მაისის ბირველ რიცხვებში იგი იძულებული შეიქნა, გაეგდო კალამი ხელიდან, გადასცა გაზეთი ივ. მაჩაბელს და შემდეგის მწარე და გულითადის სიტყვებით გამოეთხოვა მკითხველებს (თუმცა დროებითო, ეგრე განსვენებულს)... «ავათ იყო თუ კარგათ, უველა დაბრკოლებას გადავრჩით და როგორც იყო, დღევანდლამდის მივატანეთ და დღეს ამის ოქმა თამამათ შემიძლია, რომ მე ულაქო, შეუმწიკველელს, პატიოსან გაზეთს ვაბარებ ახალ რედაქციას... შეიძლება, 14 წლის განმავლობაში ჩემს ხელში ბევრი რამ შესცოდა გაზეთმა, იქნება მრუდე გზაზედაც გადუხვია, იქნება ჯეროვანათ ვერ შასრულა, რაც უნდა შეესრულებინა, რაც იმის მოვალეობას შადგენდა. მაგრამ ორი რაიმეს თქმა თამამათ შემიძლია და ამის თქმას მე, თავდაბალ კაცს კვეხნათ ვერავინ ჩამოართმევს:

«ბირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდ საქმის ასრულებაში, რომელიც ვიკისრე, და მეორე—რომ ბოროტ-განზრახვას, კერძო პიროვნულ რამე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ქონია ადგილი და ამ განზრახვით არ გადამიხვევია იმ გზიდან, რომელიც მე ჩემის სინიდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზათ მიმაჩნდა.»

„ასე მარტივათ და იშვიათის სინამდვილით გვიხატავს ს. მესხი გაზეთის—საზოგადოებრივის ორგანოს მოვალეობას, რომლის უმთავრესს დირსებას შადგენს ზნეობრივი უმწიკვლობა, რომლის არსებობას არავითარი აზრიც არა აქვს, თუ იგი მოკლებულია ზნეობრივს სიწმიდეს, რომელიც უამისოთ ვერავითარ ნდობას ვერ მოიპოვებს საზოგადოებაში, ვერ ემსახურება მის ამოდებას, ბირიქით კიდევ უფრო დასცემს ძირს და გარეგნის საზოგადოებას. ოფველმა გაზეთმა, ოფველმა მწერალმა, ოფველმა საზოგადო მოღვაწემ ასეთი კითხვა უნდა მისცეს თავის თავს: ბირად ანგარიშს, ანგარებას რაიმე ადგილი აქვს მის მოქმედებაში? და თუ «ჰო», მაშინ მას არავითარი უფლება არა აქვს, ერთ წუთსაც არის, დარჩეს საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ კანონის წმინდათ დაცვა ყველაზე მეტათ ამშვენებს ს. მესხის ხასიათს. მაგრამ მას თითქოს რცხვენოდა იმის თქმა, რაც მის არსებას და დიდებას შადგენდა და ბოდიშიც კი არ მოიხადა მკითხველების წინაშე ასეთის თავმდაბალ ადსარებისათვის: «ანასოდეს არ მიუკარდა, სწერდა: ჩემს თავზე, ჩემს ბირადობაზე დაბარაკი, მაგრამ დღეს, როდესაც უკანასკნელათ ვედაბარაკები და ვეთხოვები ჩემს მკითხველს, იძულებული შევიქენი, ეს ორიოდე სიტყვა ჩემზე. ჩემს ბირადობაზე მეთქვა». განსვენებული ასე მწარეთ ათავებს გამოსათხოვარს წერილს: «ველა კიაგებს, თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე გაზეთს, რომელსაც ჩემი უშწვიდ-კაცობის ძალდონე, ჩემი ჯკუა-გონება და, ერთის სიტყვით, ჩემი არსება შევსწირე».

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲡᲐᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲜᲔᲠᲝ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲐ

„ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲐ“

ვაცნობებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲗ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ** ამხანაგობა **„ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲐᲡ“** ფირმით, ვიწყებთ მოქმედებას ამა წლის პირველ ივლისიდან. ვკისრულობთ ყოველგვარ სავაჭრო-საკომისიენერო საქმეებს და აგენტობა-წარმომადგენლობას ფირმებისა და ქარხნებისას. ვაწვდით მსურველთ პირდაპირ რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისაგან: სამეურნეო იარაღს, მანქანებს, რკინის კრავატებს, ფარფორის ჭურჭლეულობას, საკანცელარიო ნივთებს, აბრეშუმის თესლს, კრამიტს, ზეითუნისა და სხვადასხვა სამკურნალო ბალახეულობის ზეთს, მანუფაქტურას, შალეულობას, შაბიამანს, გოგირდს, თოკებს და სხვა. აგრეთვე ვაგზავნით საზღვარ-გარეთ და რუსეთში:—მარგანეცს, აზბესტს, ბარიტს, სიმინდს, თუთუნს, პარკს, ბამბას, მუხისა, ნიგვზისა, ბზისა და სხვა ხეებს, ხილს, კვერცხს და სხვას...

ვიხსნით ადგილობრივ დამოუნებში ყოველგვარ საქონელს, ვიხდით სადამოუნო გადასახადებს, ვაგზავნით საქონელს კუთვნილებისადმი ზომიერი სასყიდლით.

ოფველსავე ცნობას და ჩვენის ამხანაგობის შესახებ საჭირო ახსნას, დაუყოვნებლივ მივაწოდებთ ყველას, ვინც ინებებს და გამოგვიგზავნის ერთს 7 კაპეიკიან ფოსტის მარკას.

მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება სწარმოებს: ქართულს, რუსულს, ინგლისურს, ფრანგულს, ბერძნულს და თათრულს ენებზე.

ჩვენის ქვეყნის საფუძვლიანათ ცოდნა, ფართო კავშირი უცხოელთა და სხვა საავაჭრო სახლებ-ქარხნებთან გვაძლევს საშუალებას, სწრაფათ, წესიერათ, ოფველასათვის ხელ-მისაწვდენ პირობებში აღვასრულოთ ოფველგვარი მინდობილება.

ჩვენი ადრესი ფოსტის: ბათუმი, ამხანაგობა **„ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲐ“**.

დეპეშის—ბათუმი **„ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲐ“**.

მმართველი ისე რაჯვეული (მეხუთლა).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 1 აგვისტოს დღის 12 საათზე საჯარო ვაჭრობა მოხდება: იჯარით გაიცემა 400 კ. საჟენი შეშის ჩაბარება. შეშა ერთი წლის განმავლობაში უნდა ჩაბარდეს ქალაქის დაწესებულებებს, ტფილისის ადგილობრივ კომანდას და ტფილისის საკომენდანტო მმართველობას.

შეშის ჩაბარების მსურველთ შეუძლიათ პირობები გაიგონ გამგეობის 1 განყოფილების კანცელარიაში ოფველ დღე ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა და უქმე დღეების გარდა. (3—2)

რადგანაც შაფათს საღამოზედ ქალაქის მაღაზია ადრე დაკეტეს, ამისათვის ამ ნომერს ორშაფათს დილამდინ დაბეჭდვა დაგვიანდა.

დრ. რედაქტორი	გამომცემელი
ნ. ი. ალექსიეგ-მესხიეგი.	ან. მ. თ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26-го іюля 1903 г. ᲛᲔᲢᲐᲛᲝᲠᲔ ᲔᲓ. ᲘᲕ. ᲑᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ. Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ, д. Арм. Дух. Семинаріи.